პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24,
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩვეულებრივით.

დღიური

სპარსეთის გამოფენაზე განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს საბჭოთა პავილიონი.

ჰელსინგფორსის (ფინეთი) მუნიციპალიტეტმა [illegible] ბული თანხა გადასდო ფაშისტების დასახმარებლად.

რუსეთის შავრაზმელები არაჩვეულებრივ აგიტაციას ეწევიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აგიტაცია სწარმოებს [illegible].

მოსკოვში გაიხსნა რკინისმუშელთა სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელზედაც გამოცხადდა 200 დელეგატი.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისის მუშათა პარტია მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყონებლივ ცნობას.

№ 280 ოთხშაბათი, 5 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 1,000,000 მ. ნ. № 280

საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

დღის წესრიგი:

1. **მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება:** ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. **სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.**
3. **საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.**
4. **საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.**
5. **საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.**
6. **მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.**
7. **მოხსენება მაზრების რაიონებათ დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების განმარტივების შესახებ.**
8. **მოხსენება ქართულ მსროლელ დივიზიის შესახებ.**
9. **განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.**
10. **ს. ს. ცაკის არჩევნები.**
11. **ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.**

საქარ. ცაკის მდივანი **პ. საბაშვილი.**

სოფლის კულტურული საჭიროებანი

მიუხედავად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება ამჟამად მშრომელი გლეხკაცობა, უკანასკნელში მძლავრადაა გაღვიძებული განათლების, კულტურული გათვითცნობიერების წყურვილი და მის დასაკმაყოფილებლად ის მზად არის გაიღოს შესაძლებელი ხარჯი და გასწიოს საჭირო შრომა.

ჩვენი გლეხი დღეს სრულებით არ არის ის, რაც იყო წინედ, მეფის რეჟიმის დროს. ომის ქარტეხილმა და უფრო რევოლიუციამ ძირეულად შეარყია მისი არსება, გამოიყვანა ის სულიერი სიბნელისა და უმოძრაობიდან, გააფართოვა მისი გონებრივი ჰორიზონტი, აამაღლა მისი პიროვნების ღირსება საკუთარ შემეცნებაში.

ბუნებრივია, რომ მას დაებადა სურვილი ცოდნის შეძენის, მიმდინარე ამბების გაგების, საერთოდ კულტურულ ცხოვრებისადმი ზიარების.

ის დაწესებულებანი, რომელთაც ეკისრებათ ამ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, უმთავრესად არიან: სკოლა, სამკითხველო, თეატრი-კლუბი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენში არა მარტო მოხდა სწავლების საქმის იდეური მხარის რეორგანიზაცია, შრომის პრინციპების გატარება, სკოლის დაახლოვება ცხოვრებასთან, არამედ, ამასთან ერთად, მენშევიკების ხანასთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა თვით სკოლების რიცხვი, მოსწავლე ბავშვთა და მასწავლებელთა კონტინგენტი. მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ასიათასამდე სასკოლო ჰასაკის ბავშვი სკოლის გარეშეა დარჩენილი. ეს ციფრი ჩვენ ბევრ რამეს გვაალებს. საჭიროა სკოლის ქსელის გაფართოვება. ეს მოითხოვს, ერთი მხრივ, ახალ სასკოლო შენობებს და მათ მოწყობილობას, მეორე მხრივ, მასწავლებელთა საკმაო რიცხვის გამოძებნას.

პირველი საქმის შესრულებას, მთავრობის დახმარებით და ხელმძღვანელობით, თვით ხალხი იკისრებს. ის დაამზადებს ხე-ტყეს და სხვა მასალას, მუშა-ხელსაც გამოიყვანს ამისათვის ნებაყოფლობით თვით-დაბეგვრის წესით.

მასწავლებელთა შოვნაც არ წარმოადგენს გადაულახავ დაბრკოლებას, ჩვენში შესაფერ საერთო განათლების პირები საკმაოდ მოიპოვებიან. ამის დასამტკიცებლად საკმარისია თუგინდ შრომის ბირჟაში შეიხედოთ. საჭიროა ამ ხალხის მომზადება სამასწავლებლოდ მოკლე ვადიან პედაგოგიურ კურსების საშუალებით. პედაგოგთა შემადგენლობას ჩვენ მოგვცემენ აგრეთვე უნივერსიტეტი, სამასწავლებლო სემინარიები და სხვა სათანადო სკოლები.

მაგრამ მთავარი უბედურება ის არის, რომ მასწავლებლები მატერიალურად ოდნავადაც არ არიან უზრუნველყოფილნი, რის გამო ამ პროფესიას ყველა გაურბის, ვისაც რაიმე შესაძლებლობა აქვს სხვაგან მოეწყოს.

სოფლის მასწავლებელი უნდა უზრუნველვყოთ ნივთიერად, შევქმნათ მისთვის ნორმალური ცხოვრების და მუშაობის პირობები, რათა მან მთელი თავისი დრო და ენერგია მოანდომოს დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებას,—ასეთია ჩვენი ამოცანა. აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება. კერძოდ უკანასკნელს ბევრ რამის გაკეთება შეუძლია ამ მხრივ; მან უნდა აგრძნობინოს მასწავლებელს, რომ მისი მდგომარეობის გაუმჯობესება მუდმივი ზრუნვის საგნადაა გამხდარი, რომ მას აფასებენ. ამასთან მასწავლებლისთვის უნდა იქნას შექმნილი ამხანაგური განწყობილების ატმოსფერა.

გარდა ამისა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს არსებული სკოლების მოსაწყობად.

ბევრ ალაგას უვარგის შენობებში უხდებათ მეცადინეობა. წყალი ჩამოდის, მინები დამსხვრეულია, სასწავლო დგამი საკმაოდ არ მოიპოვება, შეშა არა აქვთ და შენობას არ ათბობენ.

ბევრი ამ ნაკლის აცილება შესაძლებელია ადგილობრივი ძალებით და საშუალებებით, თუ საქმეს ხელს მოკიდებენ შეგნებული და ენერგიული პირები. ამ სფეროში მუშაობის ინიციატივა და ხელმძღვანელობა უნდა აიღონ ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ და ხელისუფლებამ, და მუშაობაში ჩაბან მთელი მოსახლეობა.

აგრეთვე მწვავედ დგას სოფლად სასწავლო წიგნების და ნივთების საკითხი. ღარიბ მოწაფეობას უხდება მეცადინეობა უწიგნოთ, ურვეულოდ და სხ. ცხადია, ასეთ პირობებში სწავლება სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს. სახელმწიფო გამომცემლობამ ღარიბ ბავშვებისათვის სკოლებს უნდა დაუთმოს სახელმძღვანელოები შეღავათიან ფასებში. საშეფო კომისიებმა და სხვა სათანადო ორგანიზაციებმა ამ მიზნით უნდა გაიღონ თავიანთი წვლილი.

სკოლის შემდეგ სოფლის გათვითცნობიერების საქმეში ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაკუთნებთ სამკითხველოებს.

ხალხში არის მოთხოვნილება გაზეთების და წიგნაკების კითხვის, ქვეყნის ავ-კარგის გაგების.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ჩვენი კორესპონდენტი გვწერს („კომუნისტი“ № 277): „...მცხოვრებლებმა გახსნეს ქოხ-სამკითხველო. ამ სამკითხველოს ყველა ხალისით ეტანება, მას ისე უყურებენ, როგორც საკუთარ საქმეს და დიდი ნდომით ეკიდებიან. როდესაც ვკითხები ერთ გლეხს, შესძლებთ თუ არა თქვენ სამკითხველოს დაარსებას და [illegible] გიღდათ დაფაროთ მაზე გაწეული ხარჯი—მეთქი, მან გადაჭრით მიპასუხა: უკანასკნელ ქათამს, კვერცხს გავყიდით მის სასარგებლოდ, ჩვენ დავიქირავებთ ერთ გამგეს, რომელსაც ეცოდინება წერა-კითხვა და როდესაც ყანის სამუშაოდან დავბრუნდებით, შევიყრით ერთად თავს, ხმა-მაღლა წავიკითხებთ და გავიგებთ ქვეყნის ავკარგსო“.

ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი მოვლენა გამონაკლისი არ არის, ის საერთოდ დამახასიათებელია სოფლის კულტურულ გამოღვიძებისათვის.

ოღონდ საჭიროა ფართე ორგანიზაციული მუშაობა სამკითხველოების მოსაწყობად და მათ დასაყენებლად სათანადო დონეზე. სამკითხველო უნდა არსებობდეს არა მარტო ნომინალურად როგორც ეს არის ეხლა მრავალ შემთხვევაში, არამედ ის ნამდვილად უნდა გახდეს გლეხკაცობის კულტურული ცხოვრების ერთერთი ცენტრი, მისი შემომკრები და გამათვითცნობიერებელი.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სოფლად თეატრების, სახალხო სახლების მოწყობას.

კერძოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ გავაჩაღეთ ანტირელიგიური კამპანია, მას შემდეგ, რაც ხალხი ერკვევა სარწმუნოების სიყალბეში და თავს ანებებს ეკლესიებს,—წარმოიშვა სტიქიური ლტოლვა წარმოდგენების გამართვის.

ძველებური წირვა-ლოცვა უნდა შესცვალოს თეატრალურმა წარმოდგენამ, ასეთია ჩვენი ამოცანა.

ეს მოძრაობა თვით ხალხის სიღრმიდან მომდინარეობს ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს პრესას, მას ეცოდინება, რომ ამჟამად სოფელში დიდი მუშაობაა გაჩაღებული სახალხო სახლების ასაგებად. კერძოდ გამოწვევების სისტემამ ამ დარგში ფართე ხასიათი მიიღო.

მაგრამ არ კმარა მარტო სახალხო სახლების აშენება. საჭიროა სოფლის აუდიტორიისთვის გამოსადეგ და სასარგებლო რეპერტუარის შერჩევა და სათეატრო ძალების მომზადება პირველ ყოვლისა თვით მუშათა და გლეხთა წრეებიდან. დღეს კი ხშირად ისეთი შეუფერებელი პიესები და ისე უხეიროდ იდგმება, რომ ამან შესაძლებელია ძალიან შეაფერხოს სათეატრო და ესთეტიურ-კულტურის განვითარება ხალხში და მას ამ ახალ მოვლენაზე გული აიცრუებინოს.

ამ გარემოებას უნდა მიაქციონ ყურადღება განათლების კომისარიატმა, საშეფო კომისიებმა, ადგილობრივ პარტიულ და სხვა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ცალკე მოწინავე ამხანაგებმაც.

სკოლა, სამკითხველო, სახალხო სახლი,—ეს სამი უმთავრესი ჩირაღდანია სოფლად, რომელთა კარგად დაყენება ხელს შეუწყობს გლეხური მასის სულიერ-კულტურულ გარდაქმნას.

ჩვენი კულტურული მუშაობა მათ გარშემო უნდა გავაჩაღოთ.

თათბირის შედეგები

საქართველოს კომპარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი, მოწვეული ცეკას მიერ, გაიხსნა 28 ნოემბერს და გაგრძელდა 4 დღეს. ამ თათბირის დღის წესრიგში იდგა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები აგიტაცია-პროპაგანდისა საქართველოში.

უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დელეგატებმა დიდი ყურადღება მიაქციეს როგორც ცენტრის, ისე ადგილების მუშაობის გაცნობას. ანგარიშებში აშკარად სჩანდა საქმიანი მიდგომა საკითხისადმი, არ იყო ნახმარი ზედმეტი სიტყვები ამით ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები გაეცნენ ობიექტიურ სურათს პარტიის საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობისას საქართველოში. გამოირკვა, რომ მაზრებში მოიპოვება ძლიერ მცირე რიცხვი მომზადებულ ამხანაგებისა, რომლებიც დატვირთული არიან საბჭოთა და პარტიულ მუშაობით და არ შეუძლიათ მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება მარქსისტული ცოდნის გაღრმავებას და ჩვენი პარტიული ამხანაგების თეორეტიული კვალიფიკაციის ამაღლებას. ზოგიერთ მაზრებში უკანასკნელ დრომდის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეებიც არ ყოფილან და ზოგიერთში კი ისინი იმავე დროს საორგანიზაციო განყოფილების გამგეთაც ითვლებიან. მიაქცია რა ამას ყურადღება, თათბირმა **ხაზი გაუსვა საგიტაციო-საპროპაგანდო აპარატის გაძლიერების აუცილებლობას** როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

ამ მიზნის მისაღწევად მან დააყენა კითხვა მომზადებული ამხანაგების ცენტრიდან მაზრებში გადაყვანის და მარქსისტულად განათლებულ ამხანაგების **უფრო მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ.** ამ მიზნის განხორციელება თათბირს მიაჩნია დამკვრელ ამოცანად.

ადგილებიდან მოხსენებებმა ჩვენ მოგვცა, აგრეთვე, სრული სურათი მაზრებში პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობისა. სამაზრო პოლიტგანებმა აპრილის თვიდან ფაქტიურად შესწყვიტეს არსებობა. თათბირმა მიიღო ცეკას სწორი ხაზი მთავარ პოლიტგანათლების და მისი ადგილობრივი განყოფილებების რეორგანიზაციის შესახებ.

თათბირს ანგარიში წარუდგინა, აგრეთვე სახალხო განათლების კომისარიატმა, რომლის მუშაობის გეზი მან სწორად აღიარა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თათბირმა დიდი ყურადღება მიაქცია სოფლის მასწავლებელთა შორის მუშაობის და ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხს. მან აღნიშნა ფაქტი მასწავლებელთა უმწეო მატერიალური მდგომარეობისა და მიაქცია აქეთკენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღება. შემუშავებულ იქნა, აგრეთვე, გეგმა მასწავლებელთა შორის მუშაობისა მათ უფრო ფართედ ჩასაბმელად საბჭოთა აღმშენებლობაში.

თათბირის ძირითადი საკითხები იყო პროპაგანდის და ბეჭდვითი ორგანოების საკითხები. პოლიტცოდნის გადასინჯვის შემდეგ, უნდა ვაწარმოვოთ პოლიტუცოდინარობის ლიკვიდაცია წინასწარ შემუშავებული **გეგმის** მიხედვით. პოლიტწრეების და პოლიტსკოლების დაარსების დროს ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, თუ რამდენი მომზადებული ხელმძღვანელი მოგვეპოვება იქ მუშაობის საწარმოებლად. თათბირს შემცდარად მიაჩნია ზოგიერთი ამხანაგების ტენდენცია საბჭოთა-პარტიული სკოლების გაუქმებისა და, მათ ნაცვლად პოლიტწრეების შემოღებისა. ასეთი დაპირდაპირება ყალბ საფუძველზე და გაგებაზეა აგებული. მიმდინარე წელს დაისახა სწორი ხაზი საბჭოთა პარტიული სკოლების აღმშენებლობაში. ამ მხრივ მუშაობა ინტენსიურად უნდა იქნას გაჩაღებული. თათბირს საჭიროთ მიაჩნია, აგრეთვე, ყურადღება მიაქციოს თვითგანვითარების საქმის დაყენებასაც.

ანტირელიგიური პროპაგანდა არ დარჩენილა განსახილველ საკითხების გარეშე. ამ დარგში თათბირმა დასახა რამოდენიმე ამოცანები: 1) რადგან ანტირელიგიური პროპაგანდა დიდხანს უნდა ვაწარმოვოთ, რომ ბოლო მოვუღოთ რელიგიურ ცრუმორწმუნეობას, აუცილებელია **ტექნიკუმებში და შრომის სკოლებში შემოვიღოთ ახალი საგანი—ისტორია რელიგიური შეხედულებებისა,** 2) მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ამხ. ტროცკის წინადადებების რეალიზაციას, რომლებიც ეხებიან საეკლესიო ჩვეულებათა თეატრალურ მხარეს და სხვ. და, აგრეთვე, გამოყენებულ იქნას კინო ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნებისათვის. თათბირი სავსებით სწორად სთვლის პარტიის ცეკას ხაზს რელიგიურ საკითხში.

ძალიან გაცხოველებული კამათი გამოიწვია საკითხმა ბეჭდვითი ორგანოების შესახებ, რის შემდეგ თათბირმა მიიღო მთელი რიგი კონკრეტიულ წინადადებათა. მან ხაზი გაუსვა ჟურნალისტების, მუშკორების და სხვ. კადრის მცირერიცხოვანობას და მიაქცია ყურადღება ჟურნალ-გაზეთების იდეური მხარის, მუშათა, პარტიულ და სხვა განყოფილებათა გაუმჯობესებას.

თათბირს სწორად მიაჩნია ჟურნალ-გაზეთების რიცხვის შემოკლება. [illegible] ამ მხრივ ის საჭიროთ სთვლის კიდევ უფრო (მინიმუმამდის) შემცირდეს მათი რიცხვი და გამოიცეს ს. ქ. პ. ცეკას მიერ ერთი ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულიარული და მარქსისტული ჟურნალი, რაზედაც არის დღეს დიდი მოთხოვნილება.

თათბირმა მიიღო, აგრეთვე, მთელი რიგი კონკრეტიული წინადადებებისა, რომლებიც ეხებიან გამოცემათა გაიაფებას (ჟურნალ-გაზეთების კანტორების გაერთიანება, უფრო მეტი გავრცელება ლიტერატურისა). მომავალში ის საჭიროთ სთვლის მიექცეს უფრო მეტი ყურადღება, ვინემ დღემდე, ორიგინალური შრომების გამოცემას.

მოსმენილ იქმნა, აგრეთვე, მოხსენებები წითელი ჯარიდან, კომკავშირიდან და სხვ. თათბირი საჭიროთ სცნობს გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა ქართულ წითელ ჯარში.

ერთის სიტყვით, თათბირმა დასახა მუშაობის მომავალი გეგმა აგიტაცია-პროპაგანდის დარგში, რომელიც გატარებულ იქნება ცხოვრებაში.

ქ. ორაგველიძე.

წერილები ბერლინიდან

ორი წლისთავი: 7 და 9 ნოემბერი

პარალელი ამ ორ რევოლიუციონურ წლისთავს შორის ყველას შესაძლებლათ მიაჩნია წელს გერმანიაში.

1917 წ. 7 ნოემბერს (25 ოქტომბერს ძველი სტილით) ბოლშევიკების ხელმძღვანელობით პეტროგრადის პროლეტარიატი იკავებს ზამთრის სასახლეს; მოსკოვის პროლეტარები შედიან კრემლში... რუსეთის ხალხისათვის იწყება აუწერელი ტანჯვა-ვაების ხანა, მაგრამ ის იქნება აგრეთვე გმირობის, გამარჯვების და აღორძინების ხანაც. მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოები, 4 წ. გააფთრებული ომის განმავლობაში, ვერ ახერხებენ მის დამარცხებას. რუსეთი მიაღწევს იმას, რომ აიძულებს მათ პატივი სცენ მას, მის მშვიდობიანობას და მის ვაჭრობას.

რუსეთი—რევოლიუციის დაუძლეველი დასაყრდენი რჩება თავშესაფარად ყველა დამარცხებულ რევოლიუციონერებისათვის, ის ქმნის თავის პირველ კანონმდებლობას,—ის გაბედულად ახალისებს თავის ზნე-ჩვეულებას; ის მიდის თავისი გზით სოციალიზმისკენ, თუმცა-ღა ეს გზა მეტად ძნელი სავალია, ცხადია,—მაგრამ მიდის ამ გზით თავისუფლად, ნებაყოფლობით...

1918 წ. 9 ნოემბრის კილის და კუქსგაფენის მეზღვაურების შეტევით დაეცა გერმანიის იმპერიალიზმი. ერთი წლის განმავლობაში 1919 წლის იანვრის მრისხანე დღეებამდე, როდესაც დაიღუპნენ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსენბურგი, გერმანიის სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიის მოხალისეებთან დაკავშირებით—ნოსკეს კავშირი ერხარდტთან—იწყებს პროლეტარიატის გვამებზე დემოკრატიული რესპუბლიკის შენობის აგებას. მასებს, ალტყინებულთ რუსეთის მაგალითით, ის ემუქრება სიმშილით, უცხოეთის ინტერვენციით, რეაქციის ამუშავებით. სოციალ-დემოკრატიული „დემოკრატიზმის“ ხუთი წლის შემდეგ დაუძლურებული გერმანია ხედავს საფრანგეთის ინტერვენციას რეინლანდში და რურში, მისი 20 მილიონიანი პროლეტარიატი და 10 მილ. წვრილი ბურჟუაზია განიცდიან სიმშილს; შეიარაღებული რეაქცია გერმანიაში დიდი ნაბიჯებით მიდის გამარჯვებისაკენ. გადამწყვეტი ბრძოლის ხუთი წლით გადადების გამო, გერმანიის პროლეტარიატი იძულებული იქნება კიდევ უფრო მეტი დაბრკოლება გადალახოს დღეს როგორც 1919 წელშიაც, გერმანიის გადასარჩენად არის მხოლოდ ერთი გზა, რომელზედაც ჯერ კიდევ მაშინ მიუთითებდენ მას სპარტაკელები: ეს ის გზაა, რომელსაც დიდი ხანია დაადგენ რუსები.

ეს ორი წლის თავი დიადი დაპირდაპირებაა ისტორიის წინაშე ორი მეთოდის — რეფორმისტულის და რევოლიუციონურის.

რ. ალბერტ.

ბერლინი, 7 ნოემბერი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის მთავრობა „სადარაჯოზე“

კომპარტიამ გამართა საპროტესტო ახალი დემონსტრაცია კომპარტიის დევნის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატია იშლება: საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ სასტიკად გაილაშქრა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წინააღმდეგ.

ყრილობა მოითხოვს კომუნისტებთან შეთანხმებას, ძველი გზის უარყოფას და კომპარტიის დევნის წინააღმდეგ ბრძოლას.

შავი ძალები: ბავარიის სახალხო პარტიაში იბრძვის სამი მიმართულება: ერთი მათგანი მოითხოვს პარტიის გაწმენდას ავანტიურისტებისაგან.

დაპყრობილ ოლქებში: რეფორმისტულ პროფკავშირების კაპიტულიაციის შემდეგ მრეწველები გადავიდნენ შეტევაზე რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ.

მრეწველები ყველა დარგში მოითხოვენ რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებას.

კომპარტიის საპროტესტო დემონსტრაცია

კომუნისტების გამოსვლა.

ბერლინი. 4 დეკ. კელნში კომპარტიამ მოაწყო მასიური საპროტესტო დემონსტრაცია კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატია იშლება

საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა

ბერლინი. 3 დეკემბ. დრეზდენში გაიხსნა საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა, რომელმაც გამოაშკარავა ღრმა უთანხმოება პარტიის მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფებს შორის. ყრილობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მემარცხენე ჯგუფს.

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა რეისტაგის დეპუტატი-ქალი, სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ჯგუფის წევრი ტონი ზინდერი, რომელმაც კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა პარტიის ც.-კის პოლიტიკა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რურის პასიურ წინააღმდეგობის დროს სოციალ-დემოკრატები უკიდურეს ნაციონალისტებთან თანამშრომლობდენ. პარტია მხარს უჭერდა კუნოს, სანამ ფართო მასების ზეგავლენამ არ აიძულა იგი გამოსულიყო პასიურ წინააღმდეგობის წინააღმდეგ. შტრეზემანის კაბინეტში სოციალ-დემოკრატები ერთი მეორეზე სთმობდენ თავის პოზიციებს და ხმას აძლევდენ საალყო წესების შემოღებას.

„თუ ებერტს არ შეუძლია იმოქმედოს, როგორც სოციალ-დემოკრატმა,—სთქვა მომხსენებელმა,—იგი ისე მაინც უნდა მოიქცეს, როგორც შეჰფერის პატიოსან რესპუბლიკელს. ჩვენ არ გვსურს ამიერიდან კოალიცია. ჩვენ მოვითხოვთ, რომ პარტიამ გამართოს პატიოსანი ბრძოლა პროლეტარიატის ინტერესებისათვის“. მომხსენებელი მოითხოვდა ოპოზიციის დევნის შეწყვეტას.

ც. კ-ის წარმომადგენელი დიტმანი, რომელიც მოხსენებით უნდა გამოსულიყო, ყრილობის ენერგიულ წინადადებების მიუხედავად, ცდილობდა თავიდან აეცილებინა გამოსვლა, რამაც ყრილობის აღშფოთება გამოიწვია.

თითქმის ყველა ორატორებმა ცენტრ. კომიტეტის წინააღმდეგი აზრი გამოსთქვეს. კამათის დროს დიტმანმა განაცხადა, რომ იგი საერთოდ ეთანხმება ტონი ზინდერს, მაგრამ მიმდინარე მომენტს შეუფერებლათ სთვლის პროლეტარულ გამოსვლისათვის. მის სიტყვას ყრილობა ხშირათ სწყვეტდა. როდესაც დიტმანმა მოითხოვა სიტყვის დასრულებისთვის ვადის გაგრძელება, მრავალმა დეპუტატმა პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ. შეურაცხყოფილმა დიტმანმა დასტოვა სხდომის დარბაზი.

100 ხმის უმრავლესობით 2 ხმის წინააღმდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გმობს ც. კ—ის კოალიციონურ პოლიტიკას, ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობას და მისწრაფებას სამხედრო დიქტატურისაკენ.

შემდეგ, 79 ხმის უმრავლესობით 21-ის წინააღმდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც უნდობლობას უცხადებს ცენტრ. კომიტეტს.

ყრილობის მეორე სხდომაზე საქსონიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის აღმასკომის წარმომადგენელმა სასტიკათ გაილაშქრა ც. კ—ის პოლიტიკის წინააღმდეგ საქსონიის საკითხში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ც. კ—მა უნდა შესცვალოს თავისი დამოკიდებულება კომუნისტებთან (საერთო აპლოდისმენტები).

პარტიამ უნდა გამონახოს საერთო ენა კომუნისტებთან და კვლავ მოიპოვოს პროლეტარიატის მიერ დაკარგული პოზიციები.

დიტმანი ვრცელ სიტყვაში ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ც. კ—ტი არაა დამნაშავე საქსონიის წინააღმდეგ გერმანიის მთავრობის გამოსვლისათვის. დიტმანის აზრით, თანამშრომლობა კომუნისტებთან [illegible] კი არ არის, არამედ „პუტჩ“-ისტური ორგანიზაცია.

დიტმანის შემდეგ გამოსულმა ორატორებმა სასტიკათ გაილაშქრეს დიტმანის ამ განცხადების წინააღმდეგ და გააკრიტიკეს საქსონიის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის საქციელი, რომელმაც ხმა მისცა მთავრობის შექმნას კომუნისტების გარეშე.

საბოლოვო სიტყვაში მომხსენებელმა დაიცვა კომუნისტების ტაქტიკა და განაცხადა, რომ პარტიის ც. კ-ტი პასუხისმგებელია საქსონიის მუშათა დამარცხებისათვის. დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის ეხლანდელ ც. კ-ს არ ძალუძს იდეური ხელმძღვანელობა გაუწიოს პარტიას. სიტყვა მხურვალე ოვაციებით იყო დაჯილდოვებული.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს კომუნისტებთან ერთად საქსონიის მთავრობის შედგენის ცდის განმეორებას. რეზოლიუციის თანახმად, სოციალ-დემოკრატების შესვლა კოალიციონურ მთავრობაში უნდა მოხდეს მხოლოდ სრულიად პარტიულ ყრილობის ნებართვით.

გამოტანილია აგრეთვე საპროტესტო რეზოლიუცია კომპარტიის აკრძალვის გამო.

მთავრობა „მუშაობს“

9 საათის სამუშაო დღე.

ბერლინი. 3 დეკემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრმა იარესმა დაამოწმა მთავრობის მიერ 9 საათის სამუშაო დღის შემოღების განზრახვა. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია სახელმწიფო მოსამსახურეთა წრეებში.

საზოგადო სამზარეულოების დახურვა.

ბერლინი. 4 დეკემბერი. ბერლინს აღარ შეუძლია შემდეგშიაც შეინახოს საზოგადო სამზარეულოები, რომლებიც ამზადებდენ სუპს 270,000 კაცისათვის.

საგანგებო უფლებები

ბერლინი. 4 დეკემბერი. საგანგებო უფლებები, რომელთაც ორშაბათს მოითხოვს მარქსი რეიხსტაგისაგან, გულისხმობს აგრეთვე საგარეო სესხის მიღებისათვის მოლაპარაკების წარმოების უფლებას. გადმოგვცემენ, რომ შტრეზემანი, გარეშე საქმეთა მინისტრის სახით, გამოვა რეიხსტაგში განცხადებით 100 მილ. ოქროს მარკის სესხის შესახებ, გერმანიის განძეულობათა სტაბილიზაციისათვის.

54 საათის სამუშაო კვირა

ბერლინი. 4 დეკემბერი. მარქსის კაბინეტი მოითხოვს მომავალში 54 საათის სამუშაო კვირის შემოღებას ყველა სახელმწიფო მოხელეებისათვის, მოსამსახურეებისა და მუშებისითვის. ეს დადგენილება შემუშავებული იყო ჯერ კიდევ შტრეზემანის მთავრობის მიერ.

მარქსის პროგრამა.

პარიზი. 4 დეკემბერი. ბერლინის გაზეთები იტყობინებიან, რომ თუ რეიხსტაგი არ მიიღებს კანონ-პროექტს კაბინეტისათვის საგანგებო უფლებების მინიჭების შესახებ, რეიხსტაგი გაშვებული იქნება. ახალი არჩევნები მოხდება იანვრის ბოლოს კანონ პროექტი მთავრობისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭების შესახებ ითვალისწინებს სოციალურ და ეკონომიურ საკითხებს, პირველი მოთხოვნილების საგნებზე ნიხრის დაწესებას და ამას გარდა შეეხება ბავარიის საკითხს და მოლაპარაკებას, რომელიც დაიწყო უცხოეთში გერმანიისათვის კრედიტის მიცემის შესახებ. არის აგრეთვე დაპირება საალყო წესების რეჟიმის შემსუბუქების შესახებ.

შავ ბანაკში

ბავარიის სახალხო პარტიაში.

ბერლინი. 3 დეკემბერი. ბავარიის სახალხო პარტიაში ერთმანეთს ებრძვის სამი მიმდინარეობა: კარის მიმართულება—„სამშობლოს დაცვის კავშირთა“ შენარჩუნების სასარგებლოთ, შინაგან საქმეთა მინისტრის შვეიერის მიმართულება, რომელიც იბრძვის „სამშობლოს დაცვის კავშირების“ წინააღმდეგ. ეს მიმართულება მოითხოვს გენერალურ კომისრის თანამდებობის გაუქმებას და მთელი ხელისუფლების მთავრობაზე გადაცემას. მესამე მიმართულება კნილინგის მეთაურობით საჭიროთ სთვლის გენერალურ კომისრის თანამდებობის არსებობას მისი კომპეტენციის განსაზღვრით და **მოითხოვს „სამშობლოს დაცვის კავშირთა“ გაწმენდას ავანტიურისტულ ელემენტებისაგან.**

კარის მომხრეები სასტიკად გაემიჯნენ ჰიტლერს. ჰიტლერის ორგანიზაციები იატაკ ქვეშ ანვითარებენ თავის მუშაობას, ავრცელებენ ბროშიურა-პროკლამაციებს და აგროვებენ იარაღს.

ლიუდენდორფი თამაშობს.

ლონდონი. 4 დეკემბერი. ლიუდენდორფმა, რომლის გასამართლება გადაიდო იანვრისათვის, შესძლო არა თუ პრესის კამპანიაში ჩარევა, არამედ მასში კარის და ჰიტლერის მეგობრების ჩაბმაც. ჰიტლერის მეგობრების ჩაბმაც. ჰიტლერის ორგანო აღნიშნავს, რომ ლიუდენდორფის გალაშქრება წააგავს დროებითი ზავის შემდეგ მისი შვეიცარიაში გაქცევის ისტორიას და შეურაცხყოფილი უმანკოებისათვის გამომქომაგის კაპპ-„პუტჩ“-ის შემდეგ. გაზეთი კითხვას სვამს—შესძლებს თუ არა კვლავ ნაქები სტრატეგი სასჯელის თავიდან აცილებას მისი პროექტების დამარცხების გამო მით, რომ ის მთელ თავის პასუხისმგებლობას დააკისრებს ჰიტლერს.

საფრანგეთის პრესა ახალი მთავრობის შესახებ

პარიზი. 2 დეკ. **„პტი ჟურნალ“-ს გერმანიის ახალი კაბინეტის შედგენა შტრეზემანის გამარჯვებათ მიაჩნია, რადგან იგი დარჩა გარეშე საქმეთა მინისტრის პოსტზე.** გაზეთის აზრით, გერმანიის საგარეო პოლიტიკა ამიერიდან მეტს დათმობას გამოიჩენს, რადგან ამჟამად ისახება ინგლის-საფრანგეთის დაახლოვება. გარდა ამისა გერმანიამ აუცილებლათ უნდა მოახერხოს უცხოეთიდან კრედიტების მიღება.

დაპყრობილ ოლქებში

სამუშაო დღე.

ბერლინი. 3 დეკემბერი. იერიშები 8 საათის სამუშაო დღეზე მთელი ფრონტით სწარმოებს. რურის ოლქის სამთო-მადნო მუშათა პროფკავშირების მიერ სასამუშაო დღის გაგრძელებაზე თანხ- [illegible] მრეწველებმა ასეთივე მოთხოვნილება წარუდგინეს მელითონე მუშებსაც მელითონეთა პროფკავშირებმა უარი სთქვეს ამ წინადადების შესრულებაზე და განაცხადეს, რომ ისინი უბრძოლველათ არ დასთმობენ 8 საათის სამუშაო დღეს. ამის გამო კრუპის ქარხნებმა გაუქმებულათ გამოაცხადეს ყველა სატარიფო ხელშეკრულებები.

გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომ ამჟამად მზადდება კანონ-პროექტი სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის 54 საათის სამუშაო კვირის შემოღების შესახებ.

გერმანიის ამბების გამოძახილი

საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქება.

ბერლინი. 4 დეკემბერი. საფრანგეთი და ბელგია აწარმოებენ მოლაპარაკებას რურში საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქების შესახებ.

რასაც დასთესავ, იმას მოიმკი.

ბერლინი. 4 დეკემბერი. საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლება მოითხოვს ანაზღაურების სახით 100,000 ოქროს მარკას, მაინცში სეპარატისტების მიერ საფრანგეთის მასწავლებლის კონსტანის მოკვლის გამო.

საფრანგეთის პრესა ახალ კაბინეტის შესახებ.

პარიზი. 3 დეკემბერი. საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის ახალი მთავრობა არაფრით არ განსხვავდება შტრეზემანის კაბინეტისაგან.

ამხ. კაშენის გამოსვლა საფრანგეთის პარლამენტში.

პარიზი. 3 დეკემბ. საფრანგეთის პარლამენტში კომუნისტურმა დეპუტატმა კაშენმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ რურის ავანტიურამ სამწუხარო შედეგები გამოიღო: ცხოვრება გაძვირდა, ფინანსები დაშლილია, ფრანკი ეცემა, საფრანგეთმა მიმდინარე წელში გერმანიისაგან მიიღო სამჯერ იმაზე ნაკლები ნახშირი, ვიდრე შარშან. დიუსელდორფში გერმანიის მრეწველებთან დადებული შეთანხმება მოგებას მისცემს, მხოლოდ საფრანგეთის მსხვილ მრეწველებს, და არა საფრანგეთს მთლიანათ.

კაშენმა ხაზი გაუსვა იმას, რომ თუ რურის ოკუპაციამ ხელი შეუწყო ნაციონალიზმის განვითარებას გერმანიაში, ამავე დროს მან ხელი შეუწყო გერმანიის მუშების გარევოლიუციონერებას. გერმანიის რევოლიუცია უზრუნველყოფილია, კაშენის სიტყვების თანახმად, მორალური და მატერიალური დახმარებით საფრანგეთის კომპარტიის მხრივ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

რუმინეთი

ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ვენა. 3 დეკემბერი. რუმინეთის პარლამენტის სხდომაზე **გლეხთა პარტიამ ხელახლა შეიტანა წინადადება რუმინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის განახლების შესახებ.**

ინგლისი

საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობის გარშემო.

ბერლინი. 3 დეკემბ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ში დაბეჭდილ წერილში მაკდონალდი ხაზს უსვამს იმას, რომ, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში გაიმარჯვებს ინგლისის მუშათა პარტია, მაშინ ის დაუყოვნებლივ მოითხოვს ს. ს. რ. კ. იურიდიულ ცნობას. „საბჭოთა მთავრობას, სწერს მაკდონალდი, მაგარი ფესვები აქვს“.

ნორვეგია

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო.

ქრისტიანია. 2 დეკემბერი. ყოფილმა მინისტრმა ოფტედალმა, რომელიც გამოვიდა ვრცელი პოლიტიკური სიტყვით, განაცხადა, რომ ახლო ხანში უნდა ველოდეთ ს. ს. რ. კ. ცნობას ნორვეგიის მთავრობის მიერ.

პოლონეთის ამბები

მახნოს პროცესის გარშემო

ვარშავა. 3 დეკემბერი. მახნოს პროცესზე გამოსულმა პოლონეთის ვექილებმა წარმოთქმულ სიტყვებში განაცხადეს: „პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია უარი სთქვას ისეთ კოზირზე, როგორიც არის მახნო, იმ შემთხვევაში, თუ ახალი ომი გაჩაღდა ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ.

პილსუდსკის მომხრე ვექილმა პასხალსკიმ, განაცხადა: **„ჩვენ უკვე დავკარგეთ ისეთი კოზირი, როგორიც იყო სავინკოვი, რომელიც გვიჩვენებდა გზას მოსკოვისაკენ** ჩვენ არ დავუშვებთ, რომ დავკარგოთ მეორე კოზირი მახნოს სახით“.

განთავისუფლებული მახნო მოთავსებული იქნება კონცენტრაციულ ბანაკში.

უკეთებთ რა ჯამს პროცესს, უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთის „ოხრანკის“ პროვოკაციამ, რომლის მიზანი იყო ვარშავაში მყოფ საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის სახელის გატეხვა, უნაყოფოთ დამთავრდა.

სეიმის ახალი არჩევნები.

ვარშავა. 3 დეკემბერი. სეიმის წევრებში ხმებია გავრცელებული იმის შესახებ, რომ მთელი ოპოზიცია გამოვა სეიმში მოთხოვნილებით ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ პირველ ნოემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია ჩერვონცების ანგარიშით შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში შინ მიტანით 1 მ. 50 კ.
ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის — — 1 მ. 60 კ.
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოთ მუშებისათვის 1 მ. 20 კ.

„ჩირაღდანი“

დეკემბრის ორიდან იწყებს გამოსვლას „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“, რომელიც **დაურიგდება ხელის მომწერლებს უფასოთ.**

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიურათ ყველასათვის — — 30 კ.
ცალკე ეგზემპლიარი — — — 15 კ.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა პარასკევს, 7 დეკემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

საერთო სარაიონო კრებებზე დასმული იქნეს საკითხი

პარტიის ახალ ამოცანების შესახებ.

1-ლ რაიონში—ნაძალადევის თეატრში 6 საათზე.

2-რე რაიონში—მუშათა ცენტრალურ კლუბში 6 საათზე.

3-მე რაიონში—ავლაბრის კლუბში 6 საათზე.

4-ე რაიონში—პროფკავშირთა საბჭოს კლუბში 6 საათზე შესდგება დელეგატთა კრება უჯრედების მდივნებთან და პასუხისმგებელ ხელმძღვანელებთან ერთად.

4 ე რაიონში საერთო სარაიონო კრება შესდგება ორშაბათს, 10 დეკემბერს, 6 საათზე, რუსთაველის თეატრში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **რუზენი.**

ბიუროს დადგენილების თანახმად, ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის კომიტეტის სამდივნოში გაიმართება საქ. კომპარტიის

ტფილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

ტფ. კომიტეტის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ც. კ. საქმეთა მმართველი **მულფოვიჩი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო სასურსათო კომისარიატი

მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავის თანამშრომლის, თევზის სამრეწველოების მთავარი გამგის

ილია ონისიმეს ძე

ცყემელაშვილის

გარდაცვალებას ქ. ბაქოში. 233—1—1

ინგლისი ახალი არჩევნების წინ

კომუნისტები და მუშათა პარტია

ლონდონი. 3 დეკემბერი. „დეილი ჰერალდ“-ში დაბეჭდილია ინგლისის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის წევრის ბელის წერილი, რომელიც ახასიათებს კომუნისტურ და მუშათა პარტიების სხვადასხვა მიზნებს და მეთოდებს და აცხადებს, რომ **ეხლანდელ საარჩევნო ბრძოლის მნიშვნელობა გამოიხატება კაპიტალიზმის დალუპვაში ან გამარჯვებაში.** მუშათა პარტიას და კომუნისტურ პარტიას, როგორც პროლეტარულ ორგანიზაციებს, არ შეუძლიათ გამოვიდენ არჩევნებზე ერთმანეთისაგან განცალკევებულათ. მუშათა პარტიის მარცხი? ყოველ შემთხვევაში შეარყევს კაპიტალისტების ძალა-უფლებას და ხელს შეუწყობს კაპიტალიზმის საბოლოო დაშლას. ამიტომაც კომუნისტები ხელს უწყობენ მუშათა პარტიის ხელში ძალა-უფლების ჩაგდებას და არსად არ გამოდიან მუშათა პარტიის კანდიდატების მეტოქეთ.

— ინგლისის მუშათა პარტიის ცენტრ-კომიტეტმა ოფიციალურათ აღიარა თავისი კანდიდატებათ კომუნისტები, ვილიამ პოლი და ვოლენ ბეტპოლი. ეს ცნობა უნდა ჩაითვალოს კომუნისტების დიდ გამარჯვებათ, რადგან აქამდე მუშათა პარტიის ხელმძღვანელები უარს აცხადებდენ ამ ამხანაგების კანდიდატურის მიღებაზე, თუმცა მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები მოითხოვდენ მათ მიღებას.

არჩევნების გარშემო

ლონდონი. 3 დეკემბერი. ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ კონსერვატორები დაკარგავენ რამოდენიმე მანდატს ლიბერალების სასარგებლოთ.

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ კონსერვატორები მოახერხებენ უმრავლესობის შენარჩუნებას პალატაში,—ეს უმრავლესობა საკმარისი არ იქნება სატარიფო რეფორმის განხორციელებისათვის.

მებრძოლი პარტიები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ქალების მონაწილეობას არჩევნებში.

გამოფენა სპარსეთში

რუსეთის მრეწველობა სპარსეთის გამოფენაზე.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. სპარსეთის მთავრობამ და თეირანის საგამოფენო კომიტეტმა ვაჭარ შუმიაცკის საშუალებით მადლობა შემოუთვალა რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატას, გამოფენაზე რუსეთის მრეწველობის მონაწილეობის გამო, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია მოსახლეობის მხრივ. სავაჭრო პალატამ საპასუხო დეპეშით დაავალა ამხ. შუმიაცკის სპარსეთში მოაწყოს საკავშირო რესპუბლიკას მუდმივი, საგამოფენო ექსპონატებისათვის.

სპარსეთის გამოფენა.

თეირანი. 3 დეკემბერი. ინტერესი საბჭოთა პავილიონისადმი თეირანის გამოფენაზე არ კლებულობს, პავილიონებს ყოველ დღე ათვალიერებს **რამდენიმე ათასი ექსკურსანტი.**

— გაიხსნა საბჭოთა მეორე პავილიონი. გახსნას დაესწრნენ მინისტრთა კაბინეტის წევრები, გამოფენის მომწყობი კომიტეტი, უმაღლესი მოხელე პირნი და ვაჭართა წარმომადგენლები. ამხ. შუმიაცკის მისალმებითი სიტყვის შემდეგ, რომელშიაც მან აღნიშნა გამოფენის მნიშვნელობა რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობისათვის, საპასუხო სიტყვით გამოვიდა გამოფენის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარე, რომელმაც განაცხადა, რომ სპარსეთის მონაწილეობა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და, აგრეთვე, რუსეთის მონაწილეობა თეირანის გამოფენაზე აიხსნება მით, რომ ორივე სახელმწიფო დაინტერესებულია მათი ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებაში.

სხვადასხვა

საფრანგეთი

კონრადის პროცესის გამოძახილი საფრანგეთში.

პარიზი. 3 დეკემბერი. „როსტა“-ს კორესპონდენტთან საუბარში საფრანგეთის რკინისგზელთა უნიტარულ კავშირის მდივანმა სემარმა განაცხადა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი აღშფოთებულია კონრადის გამართლებით. სემარმა სთქვა, რომ ეს განაჩენი დაუსჯელობის გარანტიაა ყველა იმ ბოროტმოქმედთათვის, რომლებიც განიზრახავენ კომუნიზმის ბელადების მოკვლას.

დააჯარიმეს კომუნისტური გაზეთი.

პარიზი 3 დეკემბერი. საფრანგეთის კომუნისტური გაზეთი „სავოიელი მუშა“ დააჯარიმეს 1600 ფრანკით იმ მოწოდებისათვის, რომელიც მიმართული იყო სამხედრო დისციპლინის დარღვევისაკენ.

სამხრეთ-სლავია

ვრანგელის მიერ გატანილი განძეულობა.

ვენა. 3 დეკემბერი. ვრანგელის არმიის მიერ გატანილი ძვირფასი ნივთები, რომლებიც ხოდორაში ინახებოდა, სამხრეთ-სლავიის მთავრობის განკარგულებით, გადატანილია ბელგრადში, სადაც შენახული იქნება სახელმწიფო ბანკში.

ჩეხო-სლოვაკია

ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ.

პრაგა. 3 დეკემბერი. რესპუბლიკის დაცვის კანონის თანხმად, პრაგაში ნახევარი წლით დახურეს ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზრდობის ყოველკვირეული ორგანო.

ოსმალეთი

ჩესტერის კონცესიის გაუქმება.

ბერლინი. 3 დეკემბერი. ანგორის მთავრობამ განაცხადა, რომ ადმირალ ჩესტერთან დადებულმა ხელშეკრულებამ დაკარგა ძალა ვადის გასვლის გამო, რომელიც დაწერილი იყო მუშაობის დაწყებისათვის.

პოლონეთ-ოსმალეთის შეთანხმება.

ბერლინი. 3 დეკემბერი. ვარშავის სეიმმა დაამტკიცა პოლონეთ-ოსმალეთის სამი ხელშეკრულება, რომელნიც დადებული იქნენ ლოზანას კონფერენციის დროს.

წითელი ტელეგრაფი

რუსეთი

ლტოლვა კომპარტიისაკენ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. 4 დეკემბ. ამ უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში დიდი ლტოლვას იჩენენ კომპარტიისაკენ კვალიფიციური მუშები, ყოფილი წითელარმიელები და მასწავლებლები.

ესერების კონფერენცია.

ელეცკი. 4 დეკემბ. მოხდა კონფერენცია ყოფილ ესერთა პარტიის უბრალო წევრებისა. მონაწილეობდა 134 კაცი, მრავალი წლის პარტიული სტაჟით. კონფერენციამ უპასუხისმგებლო პოლიტიკანებად აღიარა ესერთა პარტიის ყოფილი ბელადები, რომლებიც აწარმოებდნენ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას და რეზოლიუცია მიიღო, რომ მხარს დაუჭერს კომუნისტურ პარტიას.

ამხ. მდივანი მთავარ საკონცესიო კომიტეტის შემადგენლობაში.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, ამხ. მდივანი შეიყვანოს მთავარ საკონცესიო კომიტეტის შემადგენლობაში.

ინგლის-ამერიკის დელეგაციის ჩამოსვლა მოსკოვში.

მოსკოვი. 4 დეკემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა ინგლის-ამერიკის დელეგაცია ბრაუნის, გვინის და გერლანდის შემადგენლობით. დელეგაციის მიზანია გამოიკვლიოს, თუ რამდენად შესაძლებელია უცხოეთის კაპიტალის დაბანდება საბჭოთა რუსეთის მრეწველობის განსავითარებლად. დელეგაციას განსაკუთრებით აინტერესებს სამთამადნო მრეწველობა და ლითონების დამუშავება.

რკინის გზელთა სრულიად საკავშირო კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

მოსკოვი. 4 დეკემ. 2 დეკემბერს გაიხსნა რკინისგზელთა სრულიად საკავშირო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 200 დელეგატი; კავშირების ცენტრალურ კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ანდრეევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კავშირი, რომელშიაც შედიან 700,000 წევრები, განმტკიცდა და სცხოვრობს საწევრო გადასახადით უდეფიციტოთ; შრომის ხელფასი გადიდებულია 70 პროცენტით, რაც შეადგენს ომამდი არსებულ შრომის ხელფასის 42 პროცენტს.

შეეხო რა ტრანსპორტელთა საერთაშორისო მოძრაობას, ამხ. ანდრეევმა აღნიშნა მენშევიკების მოღალატური როლი. კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად იცნო ცეკას მუშაობა, უქნია ცეკას, რომ მან ჩააბას ტრანსპორტელები საკავშირო მუშაობაში და განაგრძოს მუშაობა შრომის ხელფასის გადიდების სფეროში; ცეკამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ბრძოლას უთადარიგობის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს რკინის გზის აღმშენებლობაში.

ამხ. ძერჟინსკი მოხსენებას აკეთებს გზათა სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ; ის აღნიშნავს ჩვენი რკინის გზის მეურნეობის წარმატებას და რკინის გზების უდეფიციტო ექსპლოატაციაზე გადასვლას მიმდინარე წელში. ტვირთის ბრუნვა შეადგენს 2,356,040 ფუთ ვერსს. გამოსადეგ ორთქლმავალთა რიცხვი იზრდება. 1913 წელში ავადმყოფი ორთქლმავლები შეადგენდენ 15 პროცენტს, 1921—22 წ.—64 პროცენტს, 1923 წ.—68 პროც., მიმდინარე წლის ოქტომბერში—67 პროც. 1913 წელში საექსპლოატაციო კოეფიციენტი უდრიდა 112 ვერსს, მიმდინარე წელში კი უდრის—90 ვერსს. ჩვენმა რკინის გზებმა მოახერხეს პურის საექსპორტო გადაზიდვის წარმატებით ჩატარება. საერთოდ ტრანსპორტის საბრუნავი და ძირითადი კაპიტალი გაიზარდა მიმდინარე წელში 75 მილ. ჩერვონ. მანეთით. შრომის ხელფასის ჩერვონცებით გამოანგარიშებაზე გადასვლა უზრუნველყოფს ხელფასის სიმტკიცეს. შრომის ხელფასის გადიდებამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების ზრდა. ტრანსპორტის შემდეგი გაუმჯობესება შესაძლებელია დოტაციის გარეშე; ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ტრანსპორტისათვის საჭირო საგნების გაიაფებისათვის, უნდა დაუახლოვოთ ერთმანეთს „მაკრატლის“ პირები.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ახალი არხი.

ბაქო. 2 დეკემბერი. 7 წლის წინად ალდაშის მაზრაში მდ. თიურანმა გეზი იცვალა. ამის გამო სოფლები მოსწყდნენ წყალს. ქვების თხრამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც ამოვიდა მლაში წყალი, რომელიც სასმელად არვარგოდა. მდინარის კალაპოტის შეცვლამ სხვაგვარი გავლენაც იქონია: 5000 დესეტინა მიწა, სადაც წინად ბამბა ითესებოდა, უდაბურ ადგილად გადიქცა. ადგილობრივმა ეკონომიურმა თათბირმა დაიწყო არხის გაჭრა ამ დაზარალებულ კუთხეში. მთელი მუშაობა ადგილობრივი ხარჯით სწარმოებდა. არხი უკვე მზად არის, მაგრამ წყლის გადმოგდება შეჩერებულია ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველოს მიერ ზოგიერთ ტექნიკურ [illegible].

ამხ. ძერჟინსკის დეპეშა

ბაქო 4 დეკემბერი. კასპიის სანაოსნო საზოგადოებამ გზათა სახალხო კომისრის ამხ. ძერჟინსკისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გილოცავთ გეგმის ბრწყინვალეთ შესრულებას და მის გადაჭარბებას“.

თესვის კამპანია

ალდაში. 4 დეკემბერი. თესვის კამპანია ალდაშის მაზრაში ჩინებულად მიდის. თესვის სესხს თვითონ გლეხების წარმომადგენლები ანაწილებენ. მაზრაში 496,393 დესეტინა მიწაა სახნავად გამოსადეგი. ამ მაზრაში მისდევენ აგრეთვე მებამბეობას, აბრეშუმის მოყვანას და მევენახეობას.

აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობის შემდეგ

აზერბეიჯანის ცენტ. აღმ. კომიტეტის სესია.

ბაქო. 3 დეკემბერი. 2 დეკემბერს მოხდა აზერბეიჯანის ახლად არჩეულ ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის სესიის სხდომა. დღის წესრიგში იდგა საკითხები: აზერ. ცენტ აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევნები და აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს არჩევნები.

აზერბეიჯანის ც. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა.

აზერბ. ც. აღ. კომ. პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეულია: თავმჯდომარედ ამხ. აღამალი-ოღლი, მის მოადგილედ—ამხ. მირ-ბაშირ ყასუმოვი, მდივნად—ამხ. შახბაზოვი; წევრებად: ამხ. ბაღიროვი, კონუშკინი, ხანბუდაღოვი, ეიუბ, მამადი ჰუსეინოვი, კარაკაზოვი, რუხულლა, ახუნდოვი და იაგუბოვი; კანდიდატებად—ამხ. ბუნიატ-ზადე და მირზოევი.

სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა.

აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში აირჩიეს: თავმჯდომარედ—ამხ. ბუსაბეკოვი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად და აზერბეიჯანის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ—ამხ. ბაღიროვი, განათლების სახალხო კომისრად—ამხ ყულიევი, მიწათ მოქმედების სახალხო კომისრად—ბუნიატ-ზადე, ჯანმრთელობის სახალხო კომისრად—ამხ. ყადირლი, იუსტიციის სახალხო კომისრად—ამხ. ველიბეკოვი, ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისრად—ჰამიდ სულთანოვი, სასურსათო სახალხო კომისრად—ამხ. ბუკრეევი, სოციალურ მზრუნველობის სახალხო კომისრად—ამხ. მამედ იაროვი, შრომის სახალხო კომისრად—ამხ. პლეშაკოვი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად—ამხ. ეფენდიევი, სამხედრო კომისრად—ამხ. ვეზიროვი, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულად ამხ. მირზაბეკიანი, აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს უფროსად—ამხ. სერებროვსკი.

სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: გადამწყვეტი ხმის უფლებით წარმომადგენელი ბაქოს ქალაქის საბჭოსი ამხ. კონუშკინი და სათათბირო ხმის უფლებით—აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. იაგუბოვი.

პარტიული ცხოვრება

კომპარტიის ახალ ამოცანების შესახებ

(ორიოდე სიტყვა ყოფილ მენშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ)

გაზ. „Заря Востока“-ს № 273 ში მოთავსებულია ამხ რუზენის მეტად საყურადღებო წერილი პარტიის ახალ ამოცანათა შესახებ, სადაც, სხვათაშორის, ლაპარაკია ყოფილ მენშევიკების საბჭოთა მუშაობაში გამოყენების აუცილებელ საჭიროების შესახებ და სხვა.

კომუნისტური პარტიის გზა გაიზიარა 12 ათასმა მუშამ. ამ გზას შეუერთდა აგრეთვე 5 ათასი ახალგაზრდა მარქსისტი“.

ეს მეტად დიდი კადრი, რომელიც აძლიერებს კომპარტიის გზას, ხაზს, საქმიანობას, ცხადია, საჭიროებს გამოყენებას და რევოლუციის გზაზე შედუღებას კომუნისტურ პარტიასთან.

ეს ახალი მასსა საჭიროებს აგრეთვე მეტად დიდ ყურადღებას.

ათეული წლების განმავლობაში პოლიტიკურ-რევოლიუციონურ მებრძოლებს აქვთ წყურვილი პოლიტიკური მუშაობისა. ეს მასსა არ შეიძლება დარჩეს აპოლიტიკურად.

ამიტომ საჭიროა მისი ჩაბმა პოლიტიკურ მუშაობაში, მისი ამოძრავება და წახალისება ამ ახალ პლატფორმაზე.

სამწუხაროდ, ამხ. რუზენის წერილიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ „კომპარტიის ზოგიერთ წევრებს აქვთ ავადმყოფური გადახრა (уклон) ყოფილ მენშევიკურ მასსის მიმართ: უნდობლობა მათდამი, რათაც არ უნდა დაუჯდეთ, უარყოფითი შეხედულება ყოფილ მენშევიკების საბჭოთა სამუშაოზე წამოწევის შესახებ და სხვა.“

ამხანაგი რუზენი სრულიად სამართლიანად ილაშქრებს ამ სენის წინააღმდეგ.

ჩვენც არ შეგვიძლია ეს ავადმყოფობა, თუ ის მართლაც არსებობს, არ აღვნიშნოთ დიდი მწუხარებით.

ეს დიდი ძალა კომპარტიასთან მოვიდა არა ხამტროდ, საბრძოლველად, რაიმეში ვისმესთან შეჯიბრებლად, არამედ დამხმარეთ, მიხაშველებლათ და პასუხისმგებლობის გასაზიარებლად იმ დიდ საქმეში, რომელიც კისერზე აწევს დღეს კომუნისტურ პარტიას.

საბჭოთა ხელისუფლების დაცვა, მისი გასამაგრებლად ბრძოლა, მისთვის თავდადება და სისხლის დაღვრა დღეს ამ ახალი ძალების მოვალეობასაც შეადგენს.

ეს უნდა იცოდეს ყველამ.

მართალია, რევოლიუციის პროცესში ეს მასსა დაშორდა რევოლიუციონურ გზას, მაგრამ ვერავინ ვერ გვეტყვის, რომ ისინი არ იყვნენ რევოლიუციონერები. თუ ისინი სხვა გზიდან ელოდენ რევოლიუციის გამარჯვებას, ამაში დამნაშავე არ არიან ისინი.

დამნაშავეა აქ მთელი ის მიმართულება, მთელი თაობა, მთელი ის თეორია, რომელზედაც ყოფილი მენშევიკები იზრდებოდენ.

მაგრამ, როცა დაინახეს მათ, რომ ეს გზა აშორებდა მათ რევოლიუციას, იყო ღალატი რევოლიუციის, ისინი მყისვე გაშორდენ ამ გზას და დადგენ რევოლიუციის სწორ გზაზე.

აქედან აშკარაა, მათ უყვარდათ რევოლიუცია, იბრძოდენ მისთვის, უყვართ ეხლაც რევოლიუცია და იბრძვიან მისთვის.

ყოფილი მენშევიკები არ გვანან იმ ელემენტებს, რომელთაც ორგანიულად ეჯავრებათ რევოლიუცია, რომელთა სოციალური მდგომარეობა ვერ ურიგდება რევოლიუციას, რომლებიც იბრძოდნენ მას, ხოლო დღეს კი იმის გამო ფეხქვეშ ეგებიან რევოლიუციას.

ასეთი ელემენტების მხოლოდ გამოყენება შეიძლება, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია მათთან გაერთიანება რევოლიუციის გზაზე.

სულ სხვა ელემენტია ყოფილ მენშევიკთა მასსა. ის შესისხლხორცებული რევოლიუციასთან, სრულიად შეგნებულად დადგა კომუნისტურ დროშის ქვეშ და დარჩება რევოლიუციასთან, შესწირავს მას თავს, დაღვრის მისთვის უკანასკნელ სისხლს, როცა საჭირო იქნება.

ამიტომ საშინელ გაუგებრობათ უნდა ჩაითვალოს ის არამეგობრული და უნდობლური განწყობილება ყოფილ მენშევიკებისადმი, რომელსაც, როგორც ამხ. რუზენის წერილიდან ვტყობილობთ, თურმე ზოგიერთ კომუნისტებში ჰქონია ადგილი. *)

რევოლიუციონურ პროცესში ყოფილ მენშევიკებს ხშირად ჰქონდათ უკმაყოფილება კომუნისტებთან, ხშირად ებრძოდენ მათ, შეიძლება ბევრ კომუნისტს მწარე ტკივილებიც მიაყენეს, სამაგიეროთ ყოფილ მენშევიკებმაც თავის დროზე არა ერთი და ორი მწარე ტკივილი სრულიად სამართლიანად მიიღეს, მაგრამ 30 აგვისტომ მოსპო ყველაფერი ეს. ამ დღეს დემოკრატიული ხაზი გაისო ყოფილ მენშევიკების წარსულ მოქმედებასა და აწმყოს შორის.

ამიტომ „წარსული ამბების“ მოგონება, თუ ამას ადგილი აქვს ზოგიერთ პარტიულ წრეებში, ყოვლად დაუშვებელია.

საქ. კომპარტიის ცეკას პლენუმმა სრულიად მიზანშეწონილი და ჩვენი მომავალი რევოლიუციონური ბრძოლისათვის აუცილებლად საჭირო დადგენილებები გამოიტანა ყოფილ მენშევიკების მიმართ მათი სალიკვიდაციო ყრილობის დამთავრების მეორე თუ მესამე დღეს.

ამ დადგენილებებს ესაჭიროება რეალიზაცია.

ამ დადგენილებებს უნდა მხარი დაუჭიროს ყველა კომუნისტმა, ვინაიდან ამას მოითხოვს რევოლიუციის ინტერესები.

კომინტერნის დროშის ქვეშ დარაზმულ ახალ რაზმს ესაჭიროება მეგობრული ხელის გაწვდენა.

ეს აღნიშნეს, ეს აღუთქვეს თავის სიტყვებში ყოფილ მენშევიკთა კონფერენციებზე და ყრილობაზე ამხ. ს. ორჯონიკიძემ და მამია ორახელაშვილმა.

სიტყვა „ყოფილი მენშევიკი“ უნდა ამოიშალოს ჩვენ ლექსიკონიდან. ის ამხანაგები, რომლებიც კომპარტიის დროშის ქვეშ დადგენ სრულიად შეგნებულად, მიუხედავათ იმისა, არიან მიღებული პარტიაში თუ ჯერ კიდევ პარტიის გარეშე დგანან, სულ ერთია, ფაქტიურად უკვე კომუნისტები არიან, ფაქტიურად კომუნიზმს და მის გზას ემსახურებიან.

და თუ ჯერ კიდევ უცხო ელემენტებად ითვლებიან, **საჭიროა შექმნა ისეთი პირობების, რომ ისინი არ იყვნენ უცხო ელემენტებათ. საჭიროა მათი შედუღება რევოლიუციის გზაზე და ჩაბმა საბჭოთა, პროფესიონალურ და პოლიტიკურ მუშაობაში.**

ა. რუხაძე.

---

*) ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ დამოკიდებულებასთან იმ ამხანაგების მიმართ, რომლებმაც დაჰგმეს მენშევიზმი, არაფერი საერთო არა აქვს პარტიას, როგორც ასეთს, და, რასაკვირველია, მის ხელმძღვანელ ორგანოებს, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.

რამდენათაც მაინც აქვს სადმე ადგილი ასეთ სამწუხარო მოვლენას—ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ მას დავიწყებას მისცემს ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკა ე. ი. ამ ამხანაგებთან ჩვენი შეთანხმებული მუშაობა.

რედაქცია.

იუსტიციის სახ. კომისარიატის კომიაჩეიკის რეზოლიუცია მიღებული ა. წ. 30 ნოემბრის სხდომაზე

„მოისმინა რა მოხსენება „პარტიის ახალ ამოცანების შესახებ“, რომელიც აღნიშნულია ამხ. ზინოვიევის წერილში (გაზ. „პრავდა“-ს საიუბილეო ნომერში), იუსტიციის სახ. კომისარიატის იაჩეიკა ფიქრობს, რომ ამხ. ზინოვიევის მიერ წამოყენებულ საკითხებიდან უმთავრესია, თუმცა არა ახალი პარტიის შიგნივ, მუშათა დემოკრატიის საკითხი, რომელიც გადაჭრილი იყო ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის 10-ე ყრილობაზე. იაჩეიკა ფიქრობს, რომ 10-ე პარტყრილობის ნათელ და განსაზღვრულ დადგენილებათა უყურადღებოთ დატოვებამ და მათი ცხოვრებაში გაუტარებლობამ გამოიწვია პარტიაში ის მტკივნეული მოვლენები, რომელსაც ამხ. ზინოვიევი აღნიშნავს:— პარტიის წევრთა კულტურულ განვითარების დონეს დაწევა, პარტიულ ცხოვრების შეჩერება და სხვა.

მუშათა დემოკრატიის პრინციპების გატარების გარეშე შეუძლებელია ჩვენი პარტიის გაჯანსაღება და საფრთხე მოელის როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე პროლეტარულ რევოლიუციის ბედ-იღბალს.

დროა უკუვაგდოთ ყოველგვარი „დანიშვნები“, როგორც სისტემა და მტკიცეთ იქნას აღებული არჩევნების გეზი ყველა დაწესებულებებში ანგარიშების ჩაბარებით, კონტროლის განხორციელებით და სხვა.

პარტიის ყველა წევრებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ცხოვრებაში წამოყენებულ საერთო პოლიტიკურ, სამეურნეო, პარტიულ აღმშენებლობის ყველა საკითხების განხილვაში.

მხოლოდ ასეთ პირობებში პარტიის ავტორიტეტს და ხელმძღვანელობას მუშების და გლეხების უპარტიო მასებს შორის ექნება ნიადაგი და პარტია გაჯანსაღების შემდეგ, შესძლებს რთულ საერთაშორისო ურთიერთობის და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მძიმე პირობებში ისტორიის მიერ დაკისრებულ ამოცანების შესრულებას“.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(4 დეკემბერი).

ჩერვონცები — —	212,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	207,000
ჩეკები —	207,000
დოლარები ეფექტ. —	48,000
ჩეკები —	46.000
ოსმ. ქაღ. ლირა	26.500
იტალიური ლირა	1500
ფრანგული ფრანკი	2250
საბჭ. ფულის ნიშნები	13 ნახ.

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—800 ათ., პური 2 ხარ.—650, ძროხის ხორცი—2,500 ათ., ფხვნილი შაქარი—6170 ათასი, შაქარი რაფინადი—9725 ათ., ბრინჯი ალდ.—1875, კარტოფილი—250, მაკარონი—3.000 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ. 900—1 მილ., პური 2 ხარ.—800, ძროხის ხორცი 2.800—3 მილ.—ცხვრის ხორცი—3.500 მ., შაქარი რაფინადი—8 და 10 მილ. ფხვნილი შაქარი—6500 ათ., მაკარონი—3200 მილ. ბრინჯი ალდაშის—2 მილ. კარტოფილი—300-350 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. „კოჟსინდიკატ“-ის ნაწარმოები. „ცენტროსოიუზ“-ის ჩაი. ქიმიური ნაწარმოები. რუს. მანუფაქტურა. შაქარი რაფინადი. რუს. ფხვნილი შაქარი. ს. მ. უ. ს. საფეიქრო ტრესტის ნაწარმოები (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), კანიფოლი სალომასი კაუსტიური სოდა. ფანჯრების მინა მზესუმზირას ზეთი, ელექტრო-ტექნიკური მასალა. ასანთი რუს. ტყავის ლვედები, რკინეულობა. ურალის. ცემენტი და ეტერნიტი. საბზა.

ბირჟის მოთხოვნილება.

ფხვნილი შაქარი რუს., შაქარი რაფინადი. პორტლანდიის ცემენტი. მზესუმზირას ზეთი. ასანთი რუს. სოლომასი. მანუფაქტურა რუს. ყუბანის ფქვილი. ტექნიკური ცხიმი. ტყავის ლვედები. ლურსმანი.

ტფილისის საბჭოს არჩევნები

არჩევნების ნუსხა

საბჭოს არჩევნები ქალაქ ტფილისის 1-ელ რაიკომში შემდეგი წესით მოხდება:

დღეს 5 დეკემბერს.

1. დეპო, სავაგონო პარკი, ელექტრონის ცეხი და ტელეგრაფის სახელოსნოები (სავაგონო პარკი, დღის 2 ნახ. საათზე).

2. საბარგო სადგური (საკონდუქტორო აუდიტორია, დღის 3 საათზე).

3. გზათა სახალხო კომისარიატის დამცველი რაზმი („ოხრანა“) და სატრანსპორტო საგანგებო კომისია (საკონდუქტორო აუდიტორია, დღის 8 საათზე).

4. უმუშევარი რკინისგზელები (მუშტაიდი, საღამოს 5 საათზე).

ხვალ 6 დეკემბერს.

1. რკინისგზათა სამმართველო და საგადასახადო ნაწილი (მუშტაიდი, საღამოს 5 საათზე).

2. საავადმყოფო. ჯანმრთელობის განყოფილება და საიზოლიაციო პუნქტი (საავადმყოფოს შენობა, დღის 3 საათზე).

3. სალიანდაგო ნაწილის მე-8 უბანი (დღის 2 ნახ. საათზე).

4. მოძრაობის ნაწილი (საკონდუქტორო აუდიტორია დღის 3 საათზე).

პარასკევს 7 დეკემბერს.

1. ამიერ კავკ. ტრანსპორტის სამომხმარებლო საზოგადოება, რკინისგზელთა პროფკავშირი, რკინისგზელთა საუბნო პროფკავშირი, ფურნე, რკინისგზელთა პროფესიონალურ განათლების განყოფილება, სარკინისგზო დამზღვევი კასა, საალრიცხვო-დამზღვევი კასა (მუშტაიდი, 3 საათზე).

2. 11 და 12 კომისარიატები და მეეზოვენი (ნაძალადევის თეატრში, დღის 12 საათზე).

3. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო და „ომეს“-ი („ომეს“-ის შენობა, სერგეის ქუჩა № 8, დღის 3 საათზე.

ორშაბათს, 10 დეკემბერს.

1. 1 რაიონის წარმოებათა მუშების ცოლები (ნაძალადევის თეატრი, საღამოს 5 საათზე).

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ბოლქვაძე.

მეორე რაიონში.

დღეს, 5 დეკემბერს.

საკარტონო ქარხანაში 12 საათზე კამოს ქ № 28.

2) თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“ დღის 2 ნახ. საათზე ელისაბედის ქუჩა.

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს.

1) ტრამვაი, ცენტრალური ელექტრო სადგური საღამოს 6 ნახ. საათ., ტრამვაის პარკი.

2) „როზა ლიუქსემბურგის“ სახელობის თამბაქოს ქარხანა შუადღის 12 საათზე, ვაგზლის ქ. № 8.

3) არსენალი, ნაშუადღევის 3 საათზე, არსენალის შენობაში.

4) მეტყავეთა ადგილკომი საღამოს 6 საათზე, ცენტ. მუშათა კლუბში.

პარასკევს, 7 დეკემბერს.

1) ცენტრო-გარაჟი და ტრამოტას ობოზი დილის 7 საათზე ცენტრო-გარაჟში და ტრამოტაში.

2) მკერავთა [illegible] ნაშუადღევის სამის ნახევარზე, მელიქოვის ქუჩა № 5.

3) „სტრო-სანტეხი“ ნაშუადღევის 4 საათზე მადათოვის კუნძული.

4) სახალხო კვების კავშირის ადგილკომები საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბში.

შაბათი, 8 დეკემბერი.

1) სამხედრო და კერძო სასხი ქარხნები დილის 10 საათზე, მადათოვის კუნძული.

2) მეთითონეები—პირველი და მესამე ავტო-სახელოსნოების, სპილენძის ქარხნისა, პირველი და მეორე საბჭოთა ქარხნების დღის პირველ საათზე, ავტო-სახელოსნოებში ელისაბედის ქ. № 119.

3) კოოპერატიული ორგანიზაციები: ცეკავშირი, მუშკოოპი, ცენტროკავშირი, ცენტრო საწყობი, ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში.

4) მეოჯახე ქალები—მუშათა ცოლები, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტ. კლუბში.

კვირა, 9 დეკემბერი.

1) მე-8-ე, მე-9-ე და მე-10-ე რაიონის მუშათა და გლეხთა გაერთიანებული მილიცია, დილის 10 საათზე მუშათა ცენტ. კლუბში.

2) მე-4 რაიონის მეეზოვეები, შუადღის 12 საათზე მუშ. ცენტ. კლუბში.

3) დასახიჩრებული ჯ.-კაცები, ნაშუადღევის 2 საათზე, დასახიჩრებულ ჯარისკაცთა საერთო საცხოვრებელში.

ორშაბათი, 10 დეკემბ.

1) ხაზინა, დილის 10 საათზე, ხაზინის შენობაში.

2) საავადმყოფოები: ფსიქიატრიული, ალექსანდროვის ვენერიული, თვალის სამკურნალო, საამფთიაქო საწყობი ნაშუადღევის სამის ნახევარზე ალექსანდროვის საავადმყოფოში, კამოს ქუჩაზე.

1) წყალსადენის სახელოსნო, ნაშუადღევის 4 საათზე წყალსადენის სახელოსნოების კლუბში.

3) ჩუღურეთის რაიონის მშენებელთა რაიადგილკომი საღამოს 6 საათზე, მშენებელთა კლუბში, 19 თეძერვლის ქუჩა.

სამშაბათს. 11 დეკემბერს.

1) სახელმწიფო ღვინის ტრესტის ქარხანა, ნაშუადღევის 3 საათზე, კამოს ქუჩა.

2) მე 12 საქარხნო კომიტეტი საღამოს ხუთის ნახევარზე საქარხნო კომიტეტის შენობაში ნიკოლოზის ქუჩა № 82.

3) მიხეილის საავადმყოფო, საღამოს 6 საათზე მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

ოთხშაბათს, 12 დეკემბერს.

1) შინა წარმოება, სააბრეშუმო სადგური, ობსერვატორია, საბაღე, ნაშუადღევის სამს საათზე შინა მრეწველობის შენობაში.

2) მე 14 საქარხნო კომიტეტი, ნაშუადღევის 2 საათზე მდინარის წისქვილების კლუბში მეოჯახე ქალები—დანარჩენი ნაწილი საღამოს ხუთ საათზე მუშ. ცენტ. კლუბში.

ოფიციალური ფასები.

შაქრის ფხვნილი „იავი“-ს—11 მ. 40 კაპ. ფუთში ფრანკო სასყიდველის საწყობი.

საზა მარაგანის—4 მ. 50 კაპ. ფუთში გამყიდველის საწყობი.

ფხვნილი შაქარი „იავი“-ს—11 მ. 30 კ. ფუთში, ფრანკო ტფილისი—საბაჟო.

თუშური მატყლი—16 მ. ფუთში ფრანკო მყიდველის საწყობი ტფილისში.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

შაქრის და პურეულის—ბაზარზე განწყობილება მტკიცეა საფეიქრო ნაწარმოებთა ბაზარზე—სუსტია, დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება

ჩერვონცების და მასთან ერთად უცხო ვალიუტის კურსმა სწრაფად იმატა. ჩერვონცის კურსმა წინა დღესთან შედარებით 11 მილიონზე ზევით აიწია.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(4 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	212 000,	60 კ.—	12.720 000
2 „—	424.000,	70 „—	14.840 000
3 „—	636 000,	80 „—	16.960.000
4 „—	848.000,	90 „—	19 080.000
5 „—	1.060.000,	1 მ.—	21.200.000
6 „—	1.272.000,	2 „—	42.400.000
7 „—	1.484.000,	3 „—	63 600.000
8 „—	1.696 000,	4 „—	84.800.000
9 „—	1.908 000,	5 „—	106.200.000
10 „—	2.120 000,	6 „—	127 200 000
20 „—	4.240 000,	7 „—	148 400 000
30 „—	6 360.000,	8 „—	169 600.000
40 „—	8 480.000,	9 „—	190.800.000
50 „—	10600.000,	1 ჩერ.—	212 მილ

ტფილისის ბაზრის მდგომარეობა

(ტფ. ბირჟის ბიულეტენიდან)

4 დეკემბერი

1. ხორბალი და პურეული:		**ფასები:**
ადგილობრივი პურის ხორბალი	ფუთი	16.000 ათ. ბონ.
სიმინდი	„	9.500 „ „
სიმინდის ფქვილი	„	15.000 „ „
ყუბანის ფქვილი	„	23.000 „ „
ადგილობრივი ფქვილი	„	20.000 „ „
ბრინჯი „აკულა“	„	4 მ. 70 კ. ჩერ.
„ ალდაშის	„	2 მ. 90 კ. „
ლობიო	„	1 მ. 20 კ. „
მაკარონი და ვერმიშელი	1 ხარ.	6 მ. — — „
	2 „	4 მ. 60 კ. „
2. ხორცი, ცხიმი:		
ძროხის ხორცი	ფუთი	120.000 მ. ბონ.
ცხვრის ხორცი	„	140.000
კარაქი 1 ხარ.	„	600.000 „
ერბო	„	380.000 „
მზესუმზირას ზეთი	„	5 მ. ჩერ.
ღორის ხორცი	„	140.000 მ. ბონ.
ტექნიკური ქონი	„	12 მ. ჩერ.
სალომასი	„	12 მ. ჩერ.
3. მწვანილი:		
კარტოფილი	ფუთი	8000 ათ. ბონ.
ხახვი	„	26.000 „ „
კომბოსტო	„	10.000 „ „
სტაფილო	„	10.000 „ „
ჭარხალი	„	6.000 „ „
4. საბაკალეიო და კოლონიალური საქონელი:		
შაქარი რაფ. რუს.	ფუთი	16 მ. და 16—50 კ. ჩერვ.
„ ჩეხო-სლოვაკიის	„	16 მ. და 16—50 კ. „
შაქარი ფხვნილი რუს.	„	11 მ. 30 კ. „
ჩაი ცეილონის	„	120 მ. — „
„ ჩინეთის	„	120 მ. — „
თაფლი ლორის	„	13—14 „
ქვა-მარილი ნახიჩ.	„	90 კ. „
ბახმუტის მარილი	„	1—30 „
ასანთი	(ყუთი)	16—15 კ. და 14—10 კ.—15 მ.
მარმარილოს საპონი	ფუთი	27 მან. ჩერ.
საპონი „პეტუხ“	„	27 —
ყოფ. „ტოლე“ 1 ხარ.	„	16—50 „
საპ. „კოლოკოლ“	„	26—50 „
„ მარსელის	„	50 მან. „
5. რძის ნაწარმოები:		
ყველი თუშური	(ფუთი)	210.000 ათ.
„ შვეიცარული	„	28 მან.
რძე (კრუჟკა)		1200
კვერცხი (ათი)		4.000

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

შემომაქვს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოთ ორ მისხლიანი რგოლის ბეჭედი და ვიწვევ აკვილინე სურგულაძისას, ელენე სარჯველაძისას (ლანჩხუთი) და მარიამ ქლენტისას.

ელენე სურგულაძისა.

ამხ. გიზო თედორეს ძე დოლიძის გამოწვევისა, შემომაქვს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის დასახმარებლათ ერთი ოქროს ბეჭედი (ორ მისხლიანი) და 40 კაპ. ვერცხლის ფული, ვიწვევ ჩემის მხრით ამხ. გრიგოლ სარჯველაძეს.

ტატიანა კონსტ. გურგენიძე.

თანახმად ამხ. გიზო თედორეს ძე დოლიძის გამოწვევისა ვადგენ ორ ოქროს ბეჭედს ორ ნახევარ მისხლიანს. ვიწვევ ვალიკო ვარდენის ძე კალანდაძეს და ლეონიდე კონსტანტინეს ძე ხომერიკს.

ალექსანდრე მიხეილის ძე მკურნალი.

თანახმად ამხ. ანდრო დოლიძის გამოწვევისა შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ 50,000,000 მანეთი.

დ. თალაკვაძე.

რკინისგზელთა კავშირთან არსებული სატელეგრაფო კურსების მსმენელები რიცხვით 22 კაცს შემოგვაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ 242.200.000 მ. და ვიწვევთ ჩვენი კავშირის სხვა დარგის კურსანტებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს.

კურსანტები.

ჩვენ რკინის გზის კურსანტებს არტელის უფროსებს შემოგვაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ 56,750,000 მ. და ვიწვევთ სხვა დარგის კურსანტებს.

კურსანტების მონდობილობით კონდრატე გოგიბერიძე.

გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ შემომაქვს ერთი ოქროს ბეჭედი და ჩემას მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: შ. გორდელაძეს, ა. ლომთათიძეს, ქ. მახარაძე, ქაქუჩა თაყაიშვილს, ალე პაიჭაძეს, შ. სიხარულიძეს, ანიკო ჩიქოვანს, მ. შენგელიას და თამარა ცერცვაძეს. ოზურგეთიდან: ნ. ჯაყელს, თამარა მელიქაძეს, ე. სიხარულიძეს, ვ. სალუქვაძეს, მ. აბაშმაძეს, კოლია ღლონტს, სონია გოგეშვილს და ნ. ერქომაიშვილს. ბათომიდან ქეთო ურუშაძეს, ქეთო საბატარაშვილს, ქეთო გოგოლაძეს და ვ. სულთანიშვილისას.

მოწაფე ფატუში ცერცვაძე.

მარო ლომინაძის გამოწვევით შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ორმოცდა ათი მილიონი (50 მილ.) მანეთი.

ალექსი ნესტ. ჭყონია.

ამხ. ვარლამ ერქომაიშვილის გამოწვევით შემოგვაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ თითოს ორმოცდათ მილიონი მანეთი (სულ 100,000,000 მ.) და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს. ჩოხატაურში ამხ. ვარდენ კალანდაძეს და სანდრო მინდაძეს; ამაღლებაში მიხაკო ელიაძეს; ხიდისთავში პავლე კალანდაძეს და ერასტო ჩიგოგიძეს. საჯევახოში ილიკო სხვიტარიძეს და სანდრო მსხილაძეს. სამტრედიაში გერმანე ნაფეტვარიძეს და აკაკი ხვიჩიას, სუფსაში ანდრო თოდრიას.

ხუფა ცახცაძე. ევტიხი კაცაძე.

შემოვიდა 3 და 4 დეკემბერს:

ოზურგეთის რაიკომისაგან: 1 ოსმალური ქალ. ლირა, 1 მანეთი საბჭოს ნიშნებით 1923 წ., 50 კაპ. ვერცხლის ფული და 604.550.000 მანეთი. ოზურგეთში დადგმულ წარმოდგენისაგან 254.890.000 მან., საჭამიას-სერის რაიკომისაგან ერთი ხუთმანეთიანი ოქროთი და 437.300 000 მან., ნაგომარის რაიკომისაგან 11.45 კაპ. ვერცხლის ფული 423.100.000 მან., ხიდისთავის რაიკომისაგან 1 ჩერვონეცი, 46.60 კაპ. ვერცხლის ფული, 7 ცალი ძველი ვერცხლის საათი, 5 რგოლი ოქროს ბეჭედი, მათ შორის ერთი გატეხილი, 1 თვლიანი ოქროს ბეჭედი, 3 უთვალო ოქროს ბეჭედი, 1 გატეხილი უთვალო ოქროს ბეჭედი, 1 ვერცხლის ბეჭედი და 500.100.000 მან., ა.|კ. რკინის გზის პროფგანათლების კურსებზე მოსწავლე ტელეგრაფისტებისაგან 242 200 000 მან., ა.|კ. რკინის გზის პროფგანათლების კურსებზე მოსწავლე სადგურის უფროსის თანაშემწეებისაგან 100.000.000 მან., ა.|კ. რკინის გზის პროფგანათლების კურსებზე მოსწავლე არტელის უფროსებისაგან 75 320.000 მან., დ. თალაქვაძისაგან 50.000.000 მან., ბოლქვაძისაგან 47.000.000 მან., ე. სურგულაძის ასული—1 რგოლი ოქროს ბეჭედი, ტ. გურგენიძის ასული — 1 რგოლი ოქროს ბეჭედი, 1 თათრული ვერცხლის ფული და 40 კაპ. ვერცხლის ფული, ა. მკურნალისაგან 1 რგოლი ოქროს ბეჭედი და 1 თვლიანი ოქროს ბეჭედი, ვ. თავართქილაძისაგან 1 რგოლი ოქროს ბეჭედი, თ. დოლიძისაგან 1 რგოლი ოქროს ბეჭედი, შ. გოგეშვილისაგან 1 რგოლი ოქროს ბეჭედი, შ. ვასაძისაგან 1 რგოლი ოქროს ბეჭედი, ა. თიკანაძისაგან 1 რგოლი ოქროს ბეჭედი, მ. კალაძისაგან 1 თვლიანი ოქროს ბეჭედი, გ. მახარაძისაგან 1 ოქროს ჯვარი. გოცო მახარაძისაგან 1 ოქროს საათი ძველი და 1 ძველი ვერცხლის საათი, ხიდისთავის რაიკომისაგან 1 ვერცხლის ქეტონი, 1 ვერცხლის ძეწკვი, 16 ვერცხლის ქილისთავი, 1 ვერცხლის საყურე, 4 ვერცხლის ქამრის კომბლები, 1 ოქროს ჯვარი, 1 ვერცხლის მღვდლის ჯვარი და 2 უცხო ვალიუტის ვერცხლის ფული, ლანჩხუთის რაიკომისაგან—2 ვერცხლის მანეთი, 4 რგოლი ოქროს ბეჭედი, 1 ოქროს თვლიანი ბეჭედი, 1 ვერცხლის სამაჯური და 1 ვერცხლის ფანქრის ბუდე, ახალქალაქის სამაზრო კომიტეტის დაწესებულებათა და თანამშრომლებისაგან 572.600.000 მან., გარე კახეთის რაიკომისაგან 297 475 000 მან., ს. ცინცაძე და ე. კაცაძე—100.000.000 მან., ა. ჭყონია—50.000.000 მ., პ. ქურდოვანიძე—30 000 000 მან., ა. ჯანკულაშვილი—10.000.000 მან., საგარეჯოში გამართულ წარმოდგენისაგან 11.000.000 მან., ფ. ცერცვაძე—1 თვლიანი ოქროს ბეჭედი.

სულ: 1 ჩერვონეცი, 1 ოსმალური ქალ. ლირა, 1 მანეთი საბჭოს ნიშნებით 1923 წ. 60.95 კაპ. ვერცხლის ფული, 1 ოქროს ჯვარი, 26 ოქროს ბეჭედი, 1 ოქროს საათი, 1 ოქროს ხუთმანეთიანი, 1 ოსმალური ვერცხლის ფული, 16 ვერცხლის ქილისთავი, 8 ვერცხლის საათი, 1 ვერცხლის ბეჭედი, 1 ვერცხლის ქეტონი, 1 ვერცხლის ძეწკვი, 1 ვერცხლის საყურე, 4 ვერცხლის ქამრის კომბლები, 1 ვერცხლის მღვდლის ჯვარი, 2 უცხო ვალიუტის ვერცხლის ფული, 1 თითბრის თვლიანი ბეჭედი, 1 ვერცხლის სამაჯური, 1 ვერცხლის ფანქრის ბუდე და 3.805.535.000 მანეთი.

წინეთ შემოსულით: 692 ჩერვონეცი, 14 ნახ. ინგლ. გირვანქა, 42 ოსმალური ქალ. ლირა, 3 ოქროს ჯვარი, 68 ოქროს ბეჭედი, 3 ოქროს სამაჯური, 5 ოქროს საგულე, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 135—15 კაპ. ვერცხლის ფული, 6 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი, 2 ნაჭერი ოქრო წონით 1 მისხალი, 2 ოქროს საათი, 81 იტალიური ლირა, 1 ოქროს ქინძისთავი, 2 ოქროს ხუთმანეთიანი, 1 გერმანული ვერცხლის მარკა, 9 ნახ. ინგლ. ვერცხლის შილინგი, 3 ოსმალური ვერცხლის ფული, 1 ტყავის ქამარი 18 ვერცხლის ნაჭერით, 34 ვერცხლის ქილისთავი, 1 ოქროს ათმანეთიანი, 1 მანეთი საბჭოს ნიშნებით 1923 წ. 8 ძველი ვერცხლის საათი, 1 ვერცხლის ბეჭედი, 1 ვერცხლის ქეტონი, 1 ვერცხლის ძეწკვი, 1 ვერცხლის საყურე, 4 ვერცხლის ქამრის კომბლები, 1 ვერცხლის მღვდლის ჯვარი, 2 უცხო ვალიუტის ვერცხლის ფული, 1 თითბრის თვლიანი ბეჭედი, 1 ვერცხლის სამაჯური. 1 ვერცხლის ფანქრის ბუდე და 33 931.866.000 მანეთი.

ჩვენი ტყის მრეწველობა

(ოქტომბრის თვის მიმოხილვა)

საქ. ტყის ტრესტში ამ ჟამად იმყოფება შემდეგი წარმოებები: ტფილისში ე. წ. „გაერთიანებული წარმოება“, რომელშიაც შედიან გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკა და ხის დამმუშავებელი სახელოსნო; ტფილისშივე—სახერხი ქარხანა № 3; პროვინციაში: 10 სახერხი ქარხანა; 6 დასამზადებელი რაიონები, 3 შეჩერებული სახერხი ქარხანა და ორი სახ. ქარხანა, იჯარით გაცემული.

ეს მიმოხილვა შეეხება, მხოლოდ ტფილისში მყოფ წარმოებებს, ვინაიდან პროვინციიდან, ამ თვის ცნობები ჯერ მიღებული არ არის.

ტრესტის ყველა წარმოებებში (ცენტრალურ სამმართველოსთან ერთად) ოქტომბერში ირიცხებოდა სულ 347 კაცი, კერძოთ, ტფილისში მყოფ წარმოებებში—114 მუშა და 14 მოსამსახურე.

ოქტომბრის განმავლობაში ტფილისის ორ წარმოებაში დამზადებულია სარეალიზაციოდ სხვადასხვა ავეჯეულობა და ტყის მასალა—ღირებულობით 20502 მან. 50 კ. ჩერვ.

ტფილისის „გაერთიანებულმა წარმოებამ“ ოქტომბერში დაამზადა სარეალიზაციოდ სხვადასხვა ავეჯი და მისი ნაწილები, სულ 305 საგანი—7008 მ. ღირებულების.

ტფილისის სახერხავ ქარხანას (№ 3) ოქტომბრის განმავლობაში დაუმუშავებია 17992 კვ. ვერშ; ღირებულებით 13494 მან.

დასამზადებელ რაიონებში დამზადებულია და გამოზიდული სხვადასხვა ტყის მასალა—სექტემბერში: მორები 9353 კვ. ფ., შეშა 162 საჟ. და სხვა, სულ 9635 მანეთის ღირებულებისა.

ექვსი დასამზადებელ რაიონიდან მხოლოდ სამი მუშაობდა: ფოთის, ხაშურ-შორაპნის და აწყურის. მთელი რაოდენობა დამზადებულ მორების სავსებით ფოთის რაიონს ეკუთვნის, შეშა-კი—ფოთის და ხაშურ-შორაპნის-აწყურის რაიონში მხოლოდ ხეების აზიდვა სწარმოებდა.

ტრესტის წარმოებები, გარდა ტფილისის გაერთიანებულ წარმოების, სათბობის მხრით უზრუნველყოფილი არიან, რადგან სარგებლობენ წარმოების ნაშთებით (ნაჭრები, ნაფოტი ნახერხი და სხ.). ტფილისის აღნიშნული წარმოება-კი სათბობ მასალას ღებულობს სათბობის განყოფილებიდან. ნედლეულით ტრესტის წარმოებები აგრეთვე უზრუნველყოფილი არიან ადგილობრივ დასამზადებელ რაიონებიდან.

ტრესტის ნაწარმოებთა რეალიზაცია გამოიხატება ასე: ოქტომბერში გაყიდულია ტფილისის წარმოებების პროდუქცია 13442 მან. ღირებულების. სექტემბერში—ტრესტის ყველა წარმოებების და დასამზადებელ რაიონების—43036 მანეთისა.

კერძოთ—ტფილისის გაერთიანებულმა წარმოებამ გაასაღა სხვადასხვა ავეჯეულობა როგორც სადურგლო, ისე გრეხილი—225 ცალი (522 მან.). ტფილისის № 3 ქარხანამ გაყიდა დახერხილი მასალა 14990 კ. ვ. (11920 მან.) პროვინც. ქარხნებმა—34820 კვ. ვერშ. (26115 მან.) დასამზადებელმა რაიონებმა სხვადასხვა ტყის მასალა (შეშა, მორები—შპალები)—16921 მანეთისა.

რეალიზაციის გაფართოების მიზნით ტრესტის გამგეობას განზრახული აქვს გახსნას ტფილისში, პლეხანოვის ქუჩაზე, დიდი მაღაზია და ხე-ტყის საწყობი.

ქალაქის კომუნალური მეურნეობა

2 ტრამვაი

1923 წლის დასაწყისს იანვარში ტრამვაის ვაგონების ბრუნვა უდრიდა 19247,—ხოლო განვლილ მანძილის რაოდენობა იყო—138 953 კილომეტ. თებერვალში კლებულობს როგორც ტრამვაის ბრუნვის (17 ათასი), ისე, რასაკვირველია, განვლილ მანძილის რაოდენობაც. მარტსა და აპრილში ბრუნვა 20 ათას აღწევს. დიდდება აგრეთვე განვლილი მანძილიც. ზაფხულის თვეებში ბრუნვა იზრდება და სექტემბერში იგი უდრის 24 ათასს ექვსას ორმოცდაცხრას, ხოლო განვლილი მანძილის რაოდენობა ამ თვეში უდრის ერთს მილიონს სამას ოთხმოცდაექვს სამას ორმოც კილომეტრს.

სულ 9 თვის განმავლობაში ბრუნვა ყოფილა 186657, ხოლო განვლილ მანძილის რაოდენობა—1.386.340 კილომეტრი.

როგორც ზევით მოყვანილი ცნობებიდან სჩანს იანვართან შედარებით უკანასკნელ სამ თვეში გადიდებულა როგორც ვაგონების საერთო ბრუნვის, ისე განვლილ მანძილის რაოდენობა.

მომუშავე ვაგონების რაოდენობა.

იანვარში იყო მომუშავე მატორიანი ვაგონი—36, მისაბმელი 14, საბარგო—4, და სარწყავიც 1. თებერვლისა და მარტისათვის ყველა ვაგონების რაოდენობა იგივე რჩება; აპრილში მატორიანი ვაგონების რიცხვი იანვართან შედარებით ორით მატულობს (38), ხოლო მისაბმელი კლებულობს ერთით (13), საბარგო და ქუჩების მოსარწყავი იგივე რჩება. მაისში მატორიან ვაგონებს ემატება კიდევ ერთი, ივნისში 41 მატორიანი ვაგონი მუშაობს, ივლისში აკლდება ერთი, აგვისტოში კი უკვე მუშაობს 42 მატორიანი ვაგონი და 15 მისაბმელი. სექტემბერში მომუშავე მატორიანი ვაგონების რაოდენობა 43 უდრის.

1923 წლის იანვარში და თებერვალში რემონტს ელოდებოდა 29 მატორიანი და 10 მისაბმელი ვაგონი, მარტში 26 მატორიანი და 13 მისაბმელი, აპრილში 25 მატორიანი, მის აბმელისთვის რჩება იგივე რიცხვი, უკანასკნელ სამ თვეში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) რემონტს ელოდებოდა 25 მატორიანი და 11 მისაბმელი ვაგონი.

იანვარში რემონტში იყო მიცემული 11 მატორიანი ვაგონი და 4 მისაბმელი, მარტში—18 მატორიანი და 1 მისაბმელი ვაგონი, აპრილში, მაისში, ივნისში რემონტი გაუკეთდა სულ 51 მატორიანს და 18 მისაბმელ ვაგონს.

უკანასკნელ სამ თვეში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) რემონტში იყო მიცემული 50 მოტორიანი და 6 მისაბმელი ვაგონი.

იანვარ-თებერვალში გამოუდეგარი იყო 58 მატორიანი ვაგონი, შემდეგ თვეებში ეს რიცხვი კლებულობს და სექტემბერში 50 მდე ჩამოდის.

სექტემბერში გენერალური რემონტი გაუკეთდა 7 მატორიან ვაგონს და ერთს მისაბმელს; ჩამოისხა 276 ფუთი და 1 გირვანქა თუჯი; სპილენძი 375 ფუთი და ალიუმინი 4 ფუთი. ტრამვაის ხაზზე მოიკირწყლა 1,219,60 კვადრატ. საჟენი. წარმოება და ვაგონების შეკეთება სასაკლაოდან ხორცის გადმოსაზიდავათ.

ტრამვაიზე მოგზაურთა რიცხვი.

იანვარში მოგზაურთა რიცხვი უდრიდა დაახლოვებით 1.218 ათასს, თებერვალში მოგზაურთა საერთო რაოდენობა ორასი ათასით კლებულობს, მარტში 1325 ათასს აღემატება, აპრილსა და მაისში მარტთან შედარებით კლებულობს, დანარჩენ თვეებში ტრამვაით მოგზაურთა საშუალო რიცხვი უცვლელი რჩება. სულ 9 თვის განმავლობაში მოგზაურთა რიცხვი უდრის 11,035.755.

მიუხედავად იმასა, რომ საანგარიშო პერიოდში მოგზაურთა საშუალო რიცხვი ერთი და იგივე რჩება, შემოსავალი მოგზაურობიდან, როგორც ამიერ-კავკასიის ბონებით ისე ოქროს მანეთებში შესამჩნევად იზრდება, რაც უნდა მიეწეროს ტარიფის რეალურ გადიდებას.

ტრამვაის შემოსავალ-გასავალი.

იანვარში ტრამვაის შემოსავალი უდრიდა 29,707 მან. 75 კაპ. ოქროს კურსით, ხოლო გასავალი ამ თვეში შეადგენდა 18,686 მან. 73 კაპ. აქედან შტატის შესანახად დახარჯულა 14,961 მან. და 84 კაპ. ე. ი. საერთო გასავლის 80,1 პროცენ. მარტში შემოსავალმა 40 ათასს გადააჭარბა, ხოლო გასავალი ამ თვეში 34822 მან. 26 კაპ. შტატზე დაიხარჯა ამ თვეში საერთო გასავლის 64,3 პროცენტი. აპრილსა და მაისში მარტთან შედარებით შემოსავალი კლებულობს, მცირდება აგრეთვე შემოსავალთან შედარებით ხარჯი შტატის შესანახად. ივნისში შემოსავალი აღწევს 42,5 ათასს, ხოლო გასავალი 42,1 ათასს. ივლისი იძლევა ყველა თვეებზე მეტს შემოსავალს, რომელიც ამ თვეში უდრის 62,833 ათას მანეთს, გასავალი კი უდრის—40,5 ათასს, შტატზე დახარჯულია ამ თვეში საერთო გასავლის 58,4 პროცენტი, სექტემბერში ტრამვაიმ შემოიტანა 52 ათასზე მეტი, ამ თვეში შემოსავალს გადააჭარბა გასავალმა, რომელიც 54 ათასს გადასცილდა. სულ 9 თვის განმავლობაში შემოსავალი იყო 368,209 მანეთი და 84 კაპ. ხოლო გასავალი 306,872 მან. 23 კაპ. ამ პერიოდში შტატიმ შესანახად დახარჯულია 184,242 მან. 43 კაპ., საშუალოთ თვიურად შტატზე იხარჯება 62,8 პროცენტი.

ზემო მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ ტრამვაიც უდეფიციტო წარმოებაა. ტრამვაის შტატი 1 ოქტომბრისათვის შემდეგი იყო: მუშები—777 კაცი, ხოლო მოსამსახურენი—81 კაცი—სულ 858.

ფუნიკულიორი.

ფუნიკულიორის სეზონი ოთხი თვით განისაზღვრება. ფუნიკულიორზე წრეულს მოგზაურობა დაიწყო ივნისში და დასრულდა სექტემბერში. ამ ხნის განმავლობაში სულ იმგზავრა 77,938 კაცმა. მოგზაურთ ყველაზე დიდი რაოდენობა იყო ივლისში (29 ათასზე მეტი) სეზონის განმავლობაში ფუნიკულიორის შემოსავალი უდრიდა 7,520 მანეთს, ხოლო გასავალი 3,292 მანეთს ოქროს კურსით.

ამრიგათ წლევანდელს სეზონში ფუნიკულიორმა დასტოვა 4,228 მან. მოგება.

პროფკავშირებში

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

ადგილკომების არჩევა

კავშირის საორგანიზაციო განყოფილება შეუდგა ადგილკომების ხელახალ არჩევნებს მათი რწმუნებულობის ვადის დასრულების გამო.

საურთიერთო დახმარების კასა.

უკანასკნელ ხანებში საურთიერთო დახმარების კასა მეტად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს. სალაროს არსებობის დღიდან სესხი მიუღია 99 კაცს სულ 3.156.913 ათასი მანეთი.

გამოცემულ სესხს წევრები თავის დროზე ჰფარავენ.

საურთიერთო დახმარების სალაროს მუშაობა კავშირის ადგილკომლა საქალაქო თათბირმა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო.

გადაწყვეტილია ჩაატარდეს კამპანია კავშირის ყველა წევრთა საურთიერთო დახმარების სალაროში ჩასარიცხად.

შტატის შემცირება ა.|კ. რკინისგზებზე.

ა.-კავკასიის რკინისგზის მოსამსახურეთა მომავალ შემცირებაში ა.|კ. რკინის გზის პროფკავშირი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას, რომლის მიზანია სრულიად ალკვეთოს დაწესებულ დროზე მეტი მუშაობა, ზედმეტ თანამდებობათა არსებობა—შესამცირებელი მუშა-მოსამსახურეების სიების დეტალური გადასინჯვის საშუალებით.

„სტალინის“ სახელობის კლუბი.

ა.|კავ. რკინის გზის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, საბჭოს სალაროდან გაიღოს 30 ჩერვონეცი ნაძალადევში დაწყებულ „სტალინის“ სახელობის კლუბის შენობის დასამთავრებლად.

პროცენტული ანარიცხების ჩერვონცებით გადახდა.

ა.|კ. რკინისგზის მუშების პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო რა მხედველობაში ა.-კ. რკინისგზებზე ხელფასის ჩერვონცით გადახდის დაწესება, დაადგინა დააწესოს კავშირის წევრთათვის საწევრო გადასახადის ჩერვონცის ანგარიშით შეტანა დღის კურსის მიხედვით. ეს ღონისძიება შესამჩნევად გააჯანსაღებს კავშირის ფინანსებს და გააცხოველებს კავშირის საერთო მუშაობას.

ქიმიკოსთა კავშირის პლენუმი.

ქიმიკოსთა კავშირის პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე ასანთის ქარხნის დირექტორმა წაიკითხა მოხსენება ქარხნის დღევანდელ მდგომარეობისა და მომავალ პერსპექტივებზე.

მოხსენების დასასრულს, პლენუმი აღნიშნავს ასანთის ქარხნის მუშაობის შეფერხებას, რომელიც, უმთავრესად, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ არაა მოწყობილი მასალის რეგულიარული მომარაგება.

საქ. მეურნ. უმაღ. საბჭოს სათამბაქო ტრესტს წინადადება ეძლევა მიიღოს აუცილებლად ზომები ქარხნის ნორმალური მუშაობის მოსაგვარებლად საჭირო ნედლი მასალის თავის დროზე მომარაგების გზით.

შემდეგ პლენუმი აღნიშნავს აგრეთვე ქარხანაში მომუშავე მუშების უდისციპლინობას და გამოაქვს დადგენილება მიიღოს საჭირო ზომები შრომის დისციპლინის და ნაყოფიერების ასამაღლებლად.

გადაწყვეტილია აგრეთვე გადასინჯოს დამუშავების ნორმა მისი მაქსიმალურად გასადიდებლად.

დასასრულ პლენუმმა მოიწონა ცენტ. გამგეობის მუშაობის გეგმა საორგანიზაციო და სატარიფო-ეკონომიურ დარგში.

ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სრულიად საქართველოს პირველი ყრილობა

მეორე სხდომა.

ორი დეკემბრის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ტიშკოვის მოხსენება ს. პ. კ. საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა დროებით ცენტ. ბიუროს მოქმედების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დროებითი ცენტ. ბიუროს მოქმედება მიმართული იყო რესპუბლიკის სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა გაერთიანებისაკენ, მაგრამ, ვინაიდან მოქმედება პირველად ჩამოყალიბდა ასეთ ორგანიზაციაში, მუშაობის დასრულება სავსებით ვერ მოხერხდა.

მიუხედავად ამისა ცენტ. ბიუროს მოქმედებამ ნაყოფი მოიტანა და პროფკავშირებთან შესაძლებელი გახდა 8 ცალკე სექციის მოწყობა.

ყველაზე ძლიერ სექციად ჩაითვლება მშენებელთა სექცია, მას მისდევს მელითონეთა და კომუნალურ მეურნეობის სექციები. საჭიროება არ მოითხოვდა ყოველ ცალკე კავშირთან სექციის მოწყობას და მოწყობილ სექციათა უმეტესობა შემოკავშირებულნი არიან—აერთებენ სხვადასხვა კავშირის წევრებს.

დაარსებულ იქნენ აგრეთვე საინჟინერო სექციები რესპუბლიკის შედარებით მსხვილ სამრეწველო ცენტრებში—ქუთაისსა, ბორჯომსა და სოხუმში.

თავისუფალ მუშაკების ნაკლებობის და სალარის უქონლობის გამო პროვინციასთან კავშირის დაჭერა და აგრეთვე ადგილობრივ მუშაობის დაარსება სექციათა შესაქმნელად და განსამტკიცებლად, შეუძლებელი შეიქნა.

საორგანიზაციო ბიუროს მიერ ჩატარებული აღრიცხვა არ გავრცელებულა რესპუბლიკის ყველა სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალებზე. აღრიცხვაზე აყვანილია მხოლოდ 400 ინჟენერი და ტეხნიკოსი.

დროებითი ცენტრალურმა ბიურომ მოაწყო 3 ძირითადი კომისია: საორგანიზაციო, სატარიფო და კულტურული, რომელთაც ხელმძღვანელობენ ბიუროს წევრები. ხსენებული კომისიები სუსტად მოქმედებდენ.

დამყარებულია კავშირი სრულიად რუსეთის ინჟენერთა სასექციო ბიუროსთან. მოხსენების დასასრულს ამხ. ტაშკოვი აღნიშნავს, რომ სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა დროებითი ცენტრალური ბიურო და აგრეთვე ყველა საკავშირო სექციები იმყოფებიან ჯერ კიდევ განვითარების საორგანიზაციო სტადიაში.

ხელისუფლების და პროლეტარიატის დამოკიდებულება რესპუბლიკის სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალებთან მეტად თანაგრძნობით არის გამსჭვალული და ასეთ პირობებში ახალი ცენტ. გამგეობის და ცალკე სექციების მუშაობა უფრო განმტკიცდება და გაღრმავდება.

შემდეგ ყრილობა ისმენს ქუთაისის, ბათომის და სოხუმის მელითონეთა და მშენებელთა საინჟენერო სექციების მოხსენებას. მოხსენებებიდან ირკვევა, რომ ზემოხსენებული სექციებიც თავის განვითარების საორგანიზაციო პერიოდში იმყოფებიან.

საბჭოთა სასამართლოში

სასამართლოს ქრონიკა

— **დღეს** აღმოსავლეთ-საქართველოს საოლქო სასამართლოში ამხ. ნასარიძის თავმჯდომარეობით განხილული იქნება გულამ მამედ-ოღლის საქმე, რომელსაც ბრალად ედება ცოლის წამება.

— 6 დეკემბერს—ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ბათუმის განყოფილების საქმე.

— 7 დეკემბერს შრომის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში ამხ. სურგულაძის თავმჯდომარეობით განხილული იქნება ბახჩიევის საქმე, რომელსაც ბრალად ედება შრომის კანონების დარღვევა.

— 8 დეკემბერს საოლქო სასამართლოში ამხ. იაშვილის თავმჯდომარეობით—საქმე ცალკის მილიციის უფროსის ყოფ. თანაშემწის, ყოფილ კომუნისტის ფედოროვის და ახალქალაქის რაიონის მილიციის ყოფ. უფროსის დიდებულიძისა, რომელთაც ბრალი ედებათ უფლების გადამეტებაში.

— 11 დეკემბერს საოლქო სასამართლოში ამხ. ნასარიძის თავმჯდომარეობით—მაჭავარიანის საქმე, რომელსაც ბრალად ედება თავის ცოლის საყვარლის ნაჯახით მოკვლა.

— 12 დეკემბერს საოლქო სასამართლოში განხილული იქნება ბილანიშვილის საქმე, რომელსაც ბრალად ედება უფლების გადამეტება და აგრეთვე გამომძიების მიერ გამოურკვეველ პირის მოკვლის განზრახვა, რასაც მოჰყვა სხვა პირის დაჭრა და სიკვდილი.

ქრონიკა

— **დახმარება ოზურგეთის ღარიბებს.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ოზურგეთში, დღემდე შემდეგი სახის დახმარებები გასცა: ადგილობრივ საბავშვო სახლს—1,622,595,000 მ., უპატრონო ბავშვების შესანახათ—176,200,000 მან., პენსიონერებს—477,650,000 მან.

— **გადასახადის ნარჩენი აფხაზეთში.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ, სასურსათო კომისარიატის მომართვის თანახმად დაადგინა: 1922 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენი აღარ აკრიფონ აფხაზეთში.

— **ოთხმოცი მილიარდი საგლეხო კომიტეტების ფონდში.** შორაპნის მაზრის გლეხობამ სურსათ-სანოვაგის გარდა, ადგილობრივ საგლეხო კომიტეტების ფონდში შეიტანეს ოთხმოცი მილიარდი მან. ფულათ.

— **მთავრობის „უწყებები“.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ აუცილებელ საჭიროებად სცნო საქ. ცაკის და კომისართა საბჭოს ჟურნალ „უწყებების“ დაარსება. სარედაქციო კოლეგიაში არჩეულნი იქნენ: ამხ. ამხ. ვარძიელი, ტალახაძე და სალარიძე.

— **ამხ. საშა წულუკიძის მამის დასაკრძალავათ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: ქ. ხონში ამხ. საშა წულუკიძის ახლახან გარდაცვალებულ მამის—გ. წულუკიძის დასაკრძალავად გადასდოს 2 მილიარდი მან.

— **ერთი დღის ულუფა გერმანიის მუშების დასახმარებლათ.** მესამე საინვალიდო სახლში მცხოვრებ ინვალიდებმა ერთხმად დაადგინეს: გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლათ გადასდონ ერთი დღის ულუფა.

— **აგარაკი ბახმარო.** საქარ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: აგარაკ ბახმაროს სამთო სანიტარულ საზღვრების გასამიჯნავად დააარსოს სპეციალური კომისია, რომელსაც აგრეთვე დაევალება აღნიშნულ ბახმაროს ყოველმხრივ დათვალიერება.

— **ლექცია პროსტიტუციასთან ბრძოლის შესახებ.** დღეს, საღამოს 7 საათზე, სანიტარულ განათლების სახლში (ევანგულოვის № 12) ექიმ ბერიძის მიერ გაკეთებულ იქნება მოხსენება შემდეგ თემაზე: „პროსტიტუცია და მასთან ბრძოლა“.

— **რკინის გზის მაგისტრალი ქუთაისში.** რკინის გზის უმაღლეს მმართველობას განზრახვა აქვს, რკინის გზის მაგისტრალი, რომელსაც ამ ჟამად რიონის სადგური წარმოადგენს, გადატანილ იქნეს ქუთაისში.

— **დახმარება ცეცხლისაგან დაზარალებულ სოფ. წილკანის მცხოვრებთ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა: დუშეთის მაზრის სოფელ წილკანის ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ მისცენ დახმარება 2,000 მან. ჩერვენცებით და წინადადება მიეცეს სასურსათო კომისარიატს ამავე მიზნით გადასდოს 2,000 ფუთი ხორბალი მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფონდიდან.

— **დახმარების გაცემა კურსის მიხედვით.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა დაადგინა: დაზღვეულებს დახმარება მიეცეთ ფულის კურსის დღის მიხედვით.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** 28, 29 და 30 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 966 უმუშევარი. აღრიცხვაზე დარჩენილია 900. აღრიცხვიდან მოხსნილია 66 კაცი.

— **შრომის კომისარიატის ახალი ბინა.** საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი გადავიდა ძველ ბინიდან ახალ ბინაზე: საპიორის ქ. № 30 მესამე სართულში (ყოფ. კადეტთა კორპუსი).

— **დაზღვეულ უმუშევართა საყურადღებოთ.** შრომის ბირჟაში დახმარების გაცემა: აღმშენებლობის, ხეზე მომუშავეთა, სახალხო კავშირის, მედიკო-სანიტარულ, ხელოვნების მუშაკთა და განათლების მუშაკთა სექციებში იწარმოებს 6 დეკემბერს.

— **მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** სასურსათო კომისარიატის ცნობით 1 დეკემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან აკრეფილია 989,064 ხორბლის ერთეული, ფულად შემოსულია 3 ტრილიონი, 773 მილიარდი, 518 მილიონი და 774,000 მან.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 3 დეკემბერს, შრომის ბირჟაში აღრიცხვა არ ყოფილა. ახლად ჩაეწერა 97, სამუშაოზე გაიგზავნა—93, მოთხოვნილება იყო—60, უფლებები აღედგინათ—14 კაცს.

შემთხვევები.

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 2 დეკემბერს შეიპყრეს აბრამ-ელიას-ოღლი მოქ. არამ პალიანცის ჯიბიდან ფულის ამოცლის დროს.

— **ბინის გაქურდვა.** 2 დეკემბერს საღამოს 7 საათზე, ალექსანდროვის ქ. № 3, გაქურდეს მოქ. ვარვარა მანველოვის ბინა, წაიღეს რვა მილიარდის ნივთები. ნაპარავი ნივთები აღმოაჩინეს. ეჭვით შეიპყრეს მიხეილ წიკლაური.

— **დაჭრა.** 30 ნოემბერს ღამის 11 საათზე ბოროტ-გამზრახველებმა ხანჯლით სასიკვდილოთ დასჭრეს მოქ. ვლადიმერ კუჩკოვი. სწარმოებს კვლევა-ძიება.

— **შეპყრობა.** 1 დეკემბერს შეიპყრეს არამ ბუსიანცი, რომელსაც ბრალდებოდა მოქ. არამ აგანიანცის 73 ჩერვონეცის მითვისება.

— **ცეცხლი.** 1 დეკემბერს. დღის 12 საათზე მოქ. ტერტეროვის სასადილოს (პუშკინის ქ. № 10) გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ მალე იქნა ჩაქრობილი. ზარალი უმნიშვნელოა.

ხელოვნება

ჩვენი მუშკორები პოეტ ა. აკოპაინის იუბილეზე.

პროლეტარულ პოეტის აკოპ აკოპიანის იუბილეზე, სხვათა შორის, მას მიესალმენ გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორების კავშირის მიერ სამი ამორჩეული მუშა-კორესპონდენტი. რომელთა სახელით იუბილიარს მგრძნობიერის ლექსით მიულოცა დღესასწაული მუშა-მგოსანმა გიგო ხუჩუაშვილმა.

მუშკორი დ—ელი.

— **კინო-ტრესტი.** საქ. კინო-ტრესტის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ა|კ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა აღნიშნულ ტრესტის მიერ გადაღებული სურათების ჩვენების დროს ყველა კინოები განთავისუფლებული იქნენ ყოველგვარ გადასახადისაგან.

— **არსენა ყაჩაღი.** [illegible] კინო-ტრესტი შეუდგა არსენა ყაჩაღის ლენტის [illegible].

— **ალ. ყაზბეგის ხსოვნის საღამო.** შაბათს, 8 დეკემბერს, ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნის საღამო, მისი გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების გამო.

— **მოხსენება ეინშტეინზე.** დღეს, საღამოს 8 საათზე სრულიად საქართველოს ხელოვანთა მთავარ სასახლეში პროფ. ა. რაზმაძის და გ. რობაქიძის მიერ წაკითხულ იქნება მოხსენება ალბერტ ეინშტეინის შესახებ.

დღეს თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა.** „მოცარტი და სალიერი“ და „ჯამბაზები“.

— **რუსთაველის თეატრი.** სომხური წარმოდგენა.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

სახალხო სახლი მაჩხაანში (სიღნაღის მაზრა)

ქიზიყი კულტურულად ჩამორჩენილი კუთხეთა სიაში იყო მოქცეული ყოველთვის. იგი გულგრილად ეკიდებოდა სწავლა-განათლების საქმეს და მცირე მონაწილეობას იღებდა კულტურულ საქმიანობაში. ეს იმით არ აიხსნება, რომ ქიზიყელს არ ჰქონდა უნარი ან და მატერიალური მდგომარეობა ხელს არ უწყობდა გათვითცნობიერების გზაზედ შედგარიყო, არამედ იმით, რომ მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ. ამ ათი წლის განმავლობაში ქიზიყელი ხალხის ცხოვრებაში დიდი სულიერი გარდატეხა მოხდა; ყველამ კარგად შეიგნო, რომ საჭიროა წინსვლა. რამ დაბადა ასეთი ტენდენცია? სოფლელი ხალხის დაახლოვებამ ქალაქის ცხოვრებასთან (რასაკვირველია, აქ დიდი როლი ითამაშა რკინის გზის ხაზის გაყვანამ); ამას ხელი შეუწყო, აგრეთვე ადგილობრივი ინტელიგენციის ენერგიულმა მუშაობამ, რაც გამოიხატა წიგნების შეძენაში, სამკითხველოების დაარსებაში და ამით ხალხში ცოდნის შეტანაში. ყველა ამის ზეგავლენით დაიბადა იმის მოთხოვნილებაც, რასაც ეწოდება თეატრი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ დიდს როლს თამაშობს ის ხალხის სულიერ ცხოვრებაში. და აი მაჩხაანში, ქიზიყის ცენტრში, სადაც საკმაო კულტურული ძალები მოიპოვება, სახალხო სახლის აშენების მიზნით არჩეულ იქნა კომისია, რომლის გაცხოველებულ მუშაობის წყალობით უკვე აგებულია შენობის ნახევარი. სასურველია, რომ მომავალ ზაფხულისთვის შენობა დამთავრდებოდეს და წარმოდგენების სისტემატიური დადგმა დაიწყებოდეს.

შ. ჯალიაშვილი.

კიცხის თემი (შორაპნის მაზრა)

კიცხის თემი მდებარეობს ქ. ზესტაფონიდან 12 ვერს. და დ. ხარაგოულიდან 7—8 ვერის. მანძილზე. აღნიშნული თემი შესდგება 10 სოფლისაგან და მცხოვრებთა რიცხვი 1 400 კომლამდე აღწევს. ადგილმდებარეობით და მოსავლიანობის მხრივ პირველობას არ დაუთმობს მაზრის დანარჩენ თემებს. სახნავ-სათესი მიწები საკმაოდ ნოყიერია და ადგილობრივი მოსავალი თითქმის აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას. სრულიად აღარ დაგვჭირდება „თითქმის“-ის ხმარება, თუ კი როგორმე თავი დავაღწიეთ პრიმიტიულ-მამა-პაპეული კავით მიწის ჩიჩქნას. ხვნა-თესვის და მევენახეობის გარდა, ხალხი მისდევს რამოდენიმედ მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას და მეჯოგეობას. ხსენებულ მეურნეობათა გარდა, გვარიან შემოსავალს აძლევს ნაწილს მცხოვრებლებისას ვაჭრობა ხე-ტყით, რომელიც გააქვთ ზესტაფონის ბაზარზე. როგორც საერთოდ საქართველოში, ამ თემშიც დარჩენ წვრილფეხა ბოგოლა მემამულეები 20—30 დღ. პირველხარისხოვან მიწებით ბ.ბ. მენშევიკების მიწის „რეფორმის“ გატარების შემდეგ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ აღარ გაუშვა მათი სინსილა და მთელი მიწები გადაეცა უმიწა-წყლო ღარიბ გლეხობას. სამართლიანი კანონის გატარებით საბოლოოდ დარწმუნდა მშრომელი გლეხობა, რომ ერთად-ერთ მის უშუალო მფარველს წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლება და სრული ნდობით ეპყრობა უკანასკნელის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ცხოვრებაში.

სულ მოქმედობს მთელ თემში სამი დაბალი შრ. სკ. (4 წ.) და ერთიც მთლიანი შრ. სკ. (7 წ.). თუ ანგარიშს გაუწევთ ხალხის საერთო მისწრაფებას სწავლისადმი, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში სავსებით ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული რიცხვი სკოლებისა მოთხოვნილებას და საჭიროებს გამრავლებას, ვინაიდან მრავალი ახალგაზრდა რჩება სკოლის გარეშე.

რომ დროებით თავი შევიკავოთ სკოლებისათვის საჭირო და აუცილებელ ნივთების შეძენისაგან, რომელიც ძალზე მცირე რაოდენობით გვაქვს დღე დღეობით, სასწრაფო და დაუყოვნებელ ზომების მიღებას მოითხოვს ტეხნიკური მხარე.

აუწერელ გაჭირვებას განიცდიდენ მცხოვრებლები საექიმო დახმარების უქონლობის გამო და ვინ იცის რამდენი სიცოცხლით აღსავსე ადამიანი გამოთხოვებია წუთისოფელს უდროოდ. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ დარგშიაც გადადგა ჯეროვანი ნაბიჯი და ამჟამად არსებობს საექიმო პუნქტები ექიმით, ფერშლით და ბებია ქალით.

დიდია მათი დახმარება ხალხისადმი, მაგრამ რამოდენიმეთ ხელს უშლის ნაყოფიერ მუშაობას მედიკამენტების უქონლობა.

კარგა ხანია არსებობს თემის ცენტრში კოოპერატივი, რომელიც უკანასკნელ რეფორმების შემდეგ გადაკეთებულია მრავალ დუქნიანის სახელწოდებით და აქვს განყოფილებები სოფლებში, მაგრამ იმდენათ სუსტია მისი მოქმედება ჯერ-ჯერობით, რომ საგრძნობ მეტოქეობას ვერ უწევს კერძო მოვაჭრეებს.

დიდის ინტენსიობით მიმდინარეობდა საბჭოთა აღმშენებლობა და კომუჯრედის მუშაობა ამ ერთი წლის წინეთ, სანამ სათავეში უდგენ საკმაოდ მომზადებული ამხანაგები, ამ ამხ. გადაყვანის შემდეგ სხვადასხვა თანამდებობებზე, იკლო საერთო საქმიანობამ.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ჯერ რაიონმა და შემდეგ მაზრამ.

ფხიზელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გაზეთ „კომუნისტი“-ს № 203 ში მოთავსებული იყო წერილი შემდეგი სათაურით: „სასამართლოს პრაქტიკიდან, ქვრივობლის დასაცავათ“, რომელსაც ხელს აწერდა №. რადგან ხსენებული წერილი სიმართლეს არ შეეფერება, ამიტომ ვიწვევ მას სამედიატორო სასამართლოში; მედიატორებათ ჩემის მხრით ვასახელებ ამხ. გ. რამიშვილს და პ. ვაჩაძეს; თუ №. დღიდგან ამის დაბეჭდვისა 15 დღის განმავლობაში არ მოისურვებს სასამართლოში გამომყვეს უფლებას ვიტოვებ მას უწოდო შესაფერი სახელი.

თ. ჩახვაძე.

ამხ. იონა ვაკელის საპასუხოთ

(იხ. „კომუნისტი“ № 268)

ამხ. იონა ვაკელი მეტად ცხარობს. „ამხ. ვაწაძეს მედ-სან-შრომის ყოფილ გამგეობის კულტ-განყოფილების საწინააღმდეგო მასალათ გამოაქვს განყოფილების მიერ ჩემი წიგნის შეძენის ფაქტი“-ო.

საქმე შემდეგშია: მედ-სან-შრომის კავშირის ყრილობაზე, სარევიზიო კომისიის მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც კულტ-განყოფილებას ეხებოდა, ჩემ მიერ იყო აღნიშნული შემდეგი: „კულტ-განყოფილებამ შეიძინა პოეტ ვაკელის თხუზულება ოცი ცალი 32 საქონლის მანეთად, რაზედაც არ ჰქონდა კავშირის სეკრეტარიატის წერილობითი დასტური“. სარევიზიო კომისიის მოვალეობას შეადგენს არა მარტო ანგარიშების ფორმალური მხრით განხილვა, არამედ თანხების მიზანშეწონილად დახარჯვის დაფასებაც. ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით, როდესაც მოხსენებაში აღვნიშნეთ: „ეს საკითხი რომ სეკრეტარიატის სხდომაზე ყოფილიყო გარჩეული, ამ პოეტ-ფუტურისტის ნაწარმოების მაგივრად იქნებოდა შეძენილი კავშირის წევრთა მოთხოვნილების უფრო შესაფერი სხვა ლიტერატურული ნაწარმოები“.

ამხ. ვაკელი შეურაცხყოფილია, რომ მას, პროლეტარულ პოეტს, ფუტურისტი უწოდეს.

უპირველეს ყოვლისა უნდა მოვახსენო ამხ. ვაკელს, რომ სიტყვა ფუტურისტი არ არის შეურაცხმყოფელი. პოეტ მაიაკოვსკის ფუტურისტობა არ უშლის ხელს საბჭოთა პრესაში თანამშრომლობაზე.

პოეტ ბლოკს არ შეუშალა ხელი სიმვოლიზმმა, რომ თავის პოემა „თორმეტ“-ში მიეცა რევოლიუციის საუცხოვო სურათი.

მე აზრათაც არ მქონია დამცირება პროლეტარული პოეტ ვაკელის ნაწარმოებისა, მაგრამ საჭიროთ ვსთვლი, რომ პროფკავშირის წევრებს—მუშებს უპირველესათ—მიეცეს კლასობრივი თვითშეგნების და პოლიტიკური განვითარების საშუალება. ამ მიზანს კი უფრო მივაღწევთ მარქსისტულ კლასიკური ლიტერატურით.

ის უხეში სიტყვები კი, რომელიც იყო ნახმარი ამხ. ვაკელის წერილში, ჩემის აზრით, არის შედეგი სიფიცხისა ანუ გაზვიადებული წყენის.

ექ. ვაწაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

უპარტიო მუშათა ხმა

ტფილისის საბჭოს არჩევნების წინ.

იყო დრო, როდესაც მუშებს დაპირებებით და შორეულ მომავლის კეთილდღეობით კვებავდნენ; რას არა გვპირდებოდენ მენშევიკები ჩვენ ამ სამი წლის წინედ, როდესაც რაიმე არჩევნები იყო მოახლოვებული, განათებას, მშრალ ბინას, 8 საათის სამუშაო დღეს, დახმარებას უმუშევრების დროს და კიდევ მრავალ სხვას. გაივლიდა დრო, არჩეულები არხეინად დაბრძანდებოდნენ რბილ სავარძელში, ხოლო დანაპირების ასრულებაზე კი თავს არავინ იწუხებდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ, მშრომელ ხალხს, ნათლად დაანახა რომ, მას შეუძლია თავის სიტყვის საქმედ გადაქცევა.

ვის არ ახსოვს ქალაქის გამგეობა ბენია ჩხიკვიშვილის მეთაურობით?! რა ტკბილ დაპირებებს არ გვაძლევდა ის არჩევნების წინ; მაგრამ, მათი გაკეთებული მუშა ხალხისთვის სასარგებლოდ ჩვენ არა გვინახავს რა, ასეთი იყო მაშინდელი „ქალაქის საბჭო“, რომელსაც მაშინ შეკრებდნენ, როდესაც რომელიმე მეზობელ ერისაკენ აპირებდნენ გალაშქრებას. ასეთმა გულგრილობამ მუშა ხალხისადმი მაშინდელ მთავრობის მიერ მრავალ უპარტიო მუშებს აუცრუა გული და ჩაუკრო ხალისი ყოველგვარ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ამ მიზეზის გამო, პირველ საბჭოს არჩევნებს 21 წელში უპარტიო მასსა ალმაცერად უყურებდა; მენშევიკების უმოქმედობით გულგატეხილი ის აქაც „ცარიელ სიტყვებად“ ღებულობდა იმ ლოზუნგებს, რომელიც მაშინ წამოაყენა კომპარტიამ. ეს არც გასაკვირი იყო პირველ ხანებში. მუშა ხალხი ცხოვრებაში რეალისტია; მას დანაპირების ნახევარი მაინც თუ არ გაუმართლე, ის ზურგს შეგაქცევს. ამ მხრივ ტფილისის საბჭომ კი სავსებით გაამართლა თავის სიტყვები და ორი წლის განმავლობაში მის მიერ გაკეთებულ საქმეს ვერ დაჩრდილავს თუნდაც ათეულ წლობით წარმოებული საწინააღმდეგო აგიტაცია მოწინააღმდეგეებისა. დღეს უკვე ის უპარტიო მასა, რომელსაც შარშან კიდევ კარგად ვერ ქონდა წარმოდგენილი ის გოლიათური მუშაობა, რომელსაც აწარმოებს ჩვენი საბჭოები,—დღეს ნათლად ხედავს მას და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მის სიმპატიას კომპარტიისადმი. დღეს ჩვენ, უპარტიო მუშები და მოსამსახურეები დარწმუნებული კომპარტიის ფრიად ნაყოფიერ მუშაობაში, ერთხმად შევძახებთ:—გაუმარჯოს წითელ საბჭოებს!

გაუმარჯოს მის მეთაურს საქ. კომპარტიას!

სალამი მომავალ საბჭოს!

უპარტიო მუშკორი გაიოზი.

როგორ უნდა მოიქცეს მუშა, რომ მის ბონებს ღირებულება არ დაეკარგოს

თუ რომელიმე სამეურნეო ორგანოში ინახება დიდი თავისუფალი თანხა, მისი ღირებულების დაცემის თავიდან ასაცილებლად საკმარისია მხოლოდ გადახურდავებულ იქნეს ის ჩერვონცებზე, ან შეტანილ იქნეს ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ან და იყიდონ მით ოქროს მომგებიანი სესხის ობლიგაციები.

სულ სხვაა, როცა მუშას ხელში რჩება მცირე ჯამაგირის ნაწილი ბონებით.

ამ მცირე ნაწილით თითქმის არც ერთი ობლიგაციის ყიდვა არ შეიძლება და ის კი ოჯახური საჭიროებისათვის მუდამ საჭიროა მუშისთვის.

ჩვენ ვიცით, რომ მთავრობის მიერ გახსნილია მშრომელთა შემნახველი კასები.

აი სწორედ ამ კასებში შეუძლია მუშას შეინახოს თავისი თავისუფალი ფული, რათა თავიდან აიცილოს მისი კურსის დაცემა.

ამ კასებში ყოველთვის შეიძლება ფულის შენახვა და საჭიროების დროს გამოტანაც. კასები გარდა შენახვისა ამატებენ პროცენტს ყოველ ას მანეთზე 50 კაპიკს და აგრეთვე ფასების ზრდასთან შეფარდებით ზედმეტსაც.

მაშასადამე, ასე სალაროები საშუალებას მისცემენ მუშას, ყოველთვიური ჯამაგირიდან გადაინახოს ნაწილი და შეგროვებული ფულით ერთიანად იყიდოს ისეთი საქონელი, რომელსაც ცალკე მთელი თვის ჯამაგირითაც ვერ იყიდის.

სალაროებში ფულის შეტანით, მუშას შეუძლია უკვე აღარ იჯავროს, რომ მისი ფული დაეცემა და ვერ შესძლებს მისი ოჯახური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და წინდაწინ გათვალისწინებულ ნივთიერების ყიდვას.

სალაროების დანამატები მუშის მიერ შეტანილ თავნზე, შეიძლება ითქვას, დაფარავს საქონელზე მომატებულ ღირებულებას.

შემნახველი სალაროები ყველასათვის მისაწვდომია და აუცილებელიც მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

მუშკორი მახს.

მიხედეთ მუშათა სახლებს.

(ქალ. აღმასკომის და საბინაო კოოპერატივის საყურადღებოდ).

ელისაბედის ქუჩაზე არის მუშათა სახლი № 9. აქ ცხოვრობენ რკინის გზის მუშები, სულ—24 ოჯახამდე. დასახელებული სახლი მეტად კარგი ხარისხისაა, მხოლოდ აქ სამწუხარო ისაა, რომ ძალიან ბევრ ალაგას სახლის სახურავი გაფუჭებულია და თავისუფლად ჩამოდის წვიმა. აგრეთვე გაფუჭებულია აქ წყალსადენის მილებიც და წყალი სულ უსარგებლოდ იღვრება.

სახლი ოთხ სართულიანია და ქვედა სართული, სადაც რამდენიმე იგივე რკინის გზის მუშების ოჯახებია მოთავსებული, წარმოადგენს ნესტიანი დაჭუჭყიანებულ ბინას. ყოველივე ამას—მივაქცევთ მუშათა საბინაო კოოპერატივის ყურადღებას, რომ უკანასკნელმა ორგანომ მეტი მფარველობით უნარი გამოიჩინოს მის განკარგულებაში მყოფ მუშათა სახლების სასარგებლოდ. სანამ სრულებით არ დანგრეულა ასეთი საუკეთესო შენობა, მანამდის უნდა მას პატრონობა, შეკეთება და ეს კი ზემო ხსენებულ ორგანოს საქმეა.

ამასთანავე საბინაო კოოპერატივმა უნდა შესძლოს ქვედა სართულის ჭუჭყიან-ნესტიან ბინაზე მოთავსებულ მუშათა უკეთეს ბინებზე მოწყობა, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იქნება.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იქნება ასეთ ბინებზე ჩვენი მუშები დაგვიავადმყოფდენ და მაშინ მათ დაეკარგებათ ყოველივე გემო და ხალისი იცხოვრონ ასეთ სახლებში.

მუშკორი მ. ა.

ნაძალადევის თეატრში

შაბათს 1 დეკემბერს, სალიანდაგო დარგის მეექვსე უბანთან არსებულ ქართულ დრამატიულ დასის მიერ აჭარელის ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქნა ოთხმოქმედებიანი დრამა „№ 21 ჯვრით“ მოქმედ პირებს შორის კარგი იყო როტმისტრის როლში—სამადალაშვილი; ცუდი იყო ექიმი ჯავახიშვილი, დანარჩენები კი საშუალო. ხელს უწყობენ საერთო ჰანსამბლს. ხელმძღვანელს რომ ყურადღება მიექცია მოთამაშეების გრიმისთვის კარგი იქნებოდა. ეს გარემოება სრულიად ამახინჯებდა სცენას. გარდა ამისა გასაკვირია ის, რომ ხელმძღვანელმა ვერ შესძლო ეშოვა მოზრდილნი და 14—15 წლის ბიჭებისთვის მიენდო მუშის როლები. ასეთებს ვერ უხდებოდა სრულიად სალებრავით გაკეთებული ბლანჯე და ულვაშები. ამათი შეხედვა დამსწრე მუშებში დიდ სიცილს იწვევდა და ისინი ახალგაზრდა „მსახიობთა“ „ქონდრის კაცებს“ ეძახდენ. იმედია რომ შემდეგში ყოველივე ამას გამოასწორებს ხელმძღვანელი.

მუშკორი „ჟაკ“.

მუშათა წერილებიდან

მოჭიდავე საქმეთა მმართველი.

ამ წ. 3 დეკემბერს, ამიერ-კავკასიის ფინსახკომის ცენტრალურ კანცელარიაში გავხდი მოწმე ერთი სამარცხვინო და დაუშვებელ ფაქტისა: საქმეთა მმართველი გინება-ყვირილით ჩასჭიდებოდა ერთს ინსპექტორს და ურტყავდა მას. მათი ჭიდილს და ყვირილის იქაური მუშა-მოსამსახურენი გაკვირვებით მისჩერებოდნენ.

ნუ თუ ეს საზიზღარი მოვლენა დასაშვებია საბჭოთა ასეთ სერიოზულ დაწესებულებაში, როგორიც არის ფინანსთა სახ. კომისარიატი?

საჭიროა ეს „ჩემპიონები“ წითელი ცოცხით გამოიცოცხონ იქიდან

მუშკორი ჟაკი

რას ჰქვია ეს?!

(ქალაქის წყალსადენის საყურადღებოდ)

ახალ არსენალის ქუჩაზე გვქონდა ერთად-ერთი წყალსადენი, რომლითაც უფასო წყლით სარგებლობდენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები. ახალ არსენალის მიდამოები წარმოადგენენ ნამდვილ მუშათა უბანს. და მთელი უბანი ამ წყალსადენით სარგებლობდა და მის გარშემო ყოველთვის, დღე და ღამ, დიდი რიგი იდგა. ამ ბოლო ხანებში ეს წყალსადენი კიდეც დაგვიკეტეს, რის გამო ეს უბანი სულ უწყლოდ დარჩა.

რას დააკლებდა ქალაქის მეურნეობას ის გარემოება, რომ ასეთ განაპირა მუშათა უბანში ერთი პატარა წყალსადენი ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთათვის უფასოდ გაეხსნათ? მისი დაკეტვა ჩვენი უბნისთვის დიდ უბედურებას წარმოადგენს.

იმედია, რომ ეს წყალსადენი კვლავ გაიხსნება ჩვენი მუშებისათვის.

ინჟ. ჟ.—ი.—ვ.—ი.

წერაში მამაცნი—საქმეში ზარმაცნი.

რკინის გზებზე ყოველთვის დიდი ქურდობა იყო, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ამ საზიზღარ მოვლენამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ტფილისის სადგურზე ღამე ისე ვერ გავა, რომ რამოდენიმე ვაგონები არ გაცარცვონ ბოროტმოქმედებმა. ქურდებს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ვაგონზე ყარაულობს თითო დარაჯი მაინც, თავისუფლად გააქვთ ფანჯრის მინები, „ჩხოლები“, ლამპები, ფანრები და სხვა.

რა ზომებს ღებულობს ამის წინააღმდეგ ჩვენი მრავალრიცხოვანი რკ. გზის „მოხელეობა“! არავითარ ზომებს ის არ ღებულობს გარდა იმისა, რომ გაქურდვის შემდეგ მეორე დღეს დგება რაღაც „კომისიები“, „ქვეკომისიები“ და სხვ., რომელნიც აყენებენ სხვადასხვა ოქმებს, ადგენენ სიას და აგზავნიან კანცელარიაში თაგვების და ვირთხების საწიწკნად. ქურდები კი დაუსჯელათ დათარეშობენ გზებზე და განცხრომაში ატარებენ ალბად დროს. ჩვენ, მუშებმა, კარგად ვიცით, რომ ქურდობას ოქმებით ვერ მოსპობენ ჩვენი „ჩინუშები“, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ ასეთი უსაქმური „ჩინოვნიკები“ მოსპოს მუშათა კლასმა და ქურდობა კი ცეცხლით და მახვილით აღმოფხვრას ჩვენმა წითელმა მილიციამ.

მუშკორი რკინისგზელი.

„წყალმანკიანი“ შაქარი

(მუშკოოპის საყურადღებოდ).

ამ ბოლო ხანებში შემჩნეულია, რომ მუშკოოპის დუქნები ჩვენ მუშებს ურიგებენ „რიგიან ფასებში“ დასველებული, წყლიან, მტვრიან და დაჭუჭყიანებულ შაქარს. შეიძლება ამ ფაქტს საფუძველში უდევდეს რაიმე „უსუფთაო-ვაჭრულ კომერციული სიბრძნე“, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ შაქარს ნოქრები „აწყალმანკიანებენ“ (წყალს ურევენ შაქარს), ალბად მეტი წონისათვის. ეს მოვლენა ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია.

მუშკორი ხადგის.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ კავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ნოემბრის 26

მტკიცე საანგარიშო განაკვეთის ჩერვონცის ანგარიშში გამოხატვისა და ყავისა და ჩაის სუროგატის და ციკორის აქციზით დაბეგვრის წესების შესახებ.

(დასასრული)

V. გაუქმებულ იქნეს თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის აქციზით დაბეგვრის არსებული სისტემა და ამის ნაცვლად:

1. აქციზის გადახდა თაფლისა და კვასისათვის,—რომელიც ალკოჰოლს 1 ნახ. გრადუსზე მეტს არ შეიცავს (ტრალესით),—და ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლისათვის დაწესდეს განსაკუთრებული პატენტის მიღების გზით.

შენიშვნა: თაფლი, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 1 ნახ. გრადუსზე მეტს, ხოლო არა უმეტეს 8 გრადუსისა (ტრალესით) დაიბეგრება აქციზით ხილეულობის ღვინისათვის დაწესებული განაკვეთისამებრ. 8 გრადუსზე უმაგრესი თაფლის გაკეთება—არ შეიძლება.

2. პატენტი 1-ლ მუხლში აღნიშნული სასმელების დასამზადებლად არის: ა) ძირითადი და ბ) დამატებითი. ძირითადი საპატენტო გამოსაღები შეტანილი უნდა იქნეს ხაზინაში წინდაწინ წლის მეოთხედობით, ხოლო დამატებითი გადახდილ უნდა იქნეს მარტოოდენ იმ შემთხვევაში, როდესაც რაოდენობა დამზადებული თაფლისა, კვასისა და ხილეულობისა და მინერალური ხელოვნური წყლისა—აღემატება მე-4 მუხლში აღნიშნულ ნორმას.

3. თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის დამზადების საწარმონი თავიანთი ადგილმდებარეობის მიხედვით—განიყოფიან სამ ჯგუფად, პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ტფილისისა და ბაქოს საწარმონი, მეორე ჯგუფს—ბათომისა, ქუთაისისა, ერევნისა და განჯას საწარმონი და მესამეს—საწარმონი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ყველა დანარჩენი ადგილებისა.

4. თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის დამზადების უკიდურეს სანახევარწლო ნორმად ძირითადი პატენტით დაწესებულ იქნეს: პირველი ჯგუფის საწარმოთათვის—4.000 ვედრო, მეორე ჯგუფის საწარმოთათვის—1.500 ვედრო და მესამეთათვის—750 ვედრო.

5. თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის დამზადების ძირითადი საპატენტო გამოსაღების განაკვეთი დაწესდება ჩერვონეცის ანგარიშით ნახევარწლობით—აპრილის 1-დან სექტემბრის 30-დე და ოქტომბრის 1-დან მომავალი წლის მარტის 31-დე—შემდეგი რაოდენობით: პირველი ჯგუფის საწარმოთათვის—1.040 მან., მეორე ჯგუფის საწარმოთათვის—300 მან. და მესამესათვის—195 მ.

6. დამატებითი საპატენტო გამოსაღები თაფლის, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის დამზადებისათვის იმ ნორმაზე ზევით, რაც განსაზღვრულია ძირითადი პატენტით (მუხ. 4),—შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში წინდაწინ ჩერვონეცის ანგარიშით და შემდეგი რაოდენობით: პირველი ჯგუფის საწარმოთათვის 1000 ვედროზე—260 მან., მეორე ჯგუფის საწარმოთათვის 500 ვედროზე—130 მან. და მესამე ჯგუფის საწარმოთათვის 250 ვედროზე—65 მან.

შენიშვნა: საანგარიშო ნახევარი წლის დასასრულს ხაზინაში შეტანილი დამატებითი საპატენტო გამოსაღები, რაც ამ ნახევარ წელიწადში არ იქნება გამოყენებული ამა მუხლში აღნიშნული რაოდენობის სასმელის დასამზადებლად,—მიიღება სათვალავში ახალი წლისათვის ძირითადი საპატენტო გამოსაღების გასტუმრების დროს იმის მიხედვით, თუ რამდენი ვედრო დარჩა დაუმზადებელი.

7. თაფლისა, კვასისა, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლის დამზადებისათვის მიცემულ პატენტს არავითარი დამატებითი გამოსაღები არ დაედება.

VI გაუქმებულ იქნეს ყავისა და ჩაის სუროგატების და ციკორის აქციზით დაბეგვრა.

VII ნაღდი მარაგი აქციზ-დასადები საგნებისა, რაც ამ დადგენილების სამოქმედოდ შემოღების დღისათვის აღმოჩნდება მათი წარმოებისა და ამოღების ადგილას, საბაზისო და საბითუმო საწყობში და აგრეთვე საბაჟოში, რკინისგზის სადგურში, ნავთსადგურში ან გზაში და რომლებისათვისაც აქციზი გადახდილ იქნება მტკიცე განაკვეთით,—ამა დადგენილების განაკვეთზე ნაკლები,—დაიბეგრება დამატებითი აქციზით აღნიშნულ განაკვეთთა განსხვავების რაოდენობით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომის. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თალიბლი**

დადგენილება № 108

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი 1923 წლის ოქტომბრის 17. ინვალიდთა წარმოებითი შენაერთების სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

სახელმწიფო სარეწავი გადასახადის დებულების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა 1923 წ. № 7, მუხ. 73) 14 მუხლის საფუძველზე—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) განთავისუფლებულ იქნეს სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან ინვალიდთა წარმოებითი შენაერთები, რასაც მოაწყობენ სოციალური დაზღვევის ორგანოები.

2) აღიარებულ იქნეს სარეწავი გადასახადისაგან განთავისუფლებულად ის საწარმონი, რაც პირველ მუხლში აღნიშნულ ინვალიდთა შენაერთებს უჭირავთ საკუთარი წარმოების ნაკეთობათა გასაყიდათ.

3) უკეთუ მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საწარმოებში მოხდება აგრეთვე ოპერაციები სხვისი წარმოების ნაკეთობათა გაყიდვისათვის,—ხსენებული ოპერაციები დაიბეგროს სარეწავი გადასახადით საერთო საფუძველზე;

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დრ. აღმასრულებელი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრულებელი ს. ლეკიშვილი.

ცირკულიარი № 63

ყველა დამზღვევ კასებს.

4 დეკემბერი 1923 წ.

თანახმად ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა, „პენსიის და აგრეთვე დაზღვევის დამატებითი სახეთა და უმუშევრობის დროს დახმარებათა ნორმების გამონაგარიშების შესახებ“ (ა. წ. 4 სექტემბრის თარიღით № 35) რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამმართველო ა. წ. დეკემბრის თვისთვის აწესებს დახმარებათა შემდეგ რაოდენობას:

ბავშვის მოსავლელად (მშობიარობა)	234.000.000
ბავშვის საკვებად	60.000.000
დაზღვეულთა და მისი ოჯახის წევრთა დასამარხავად, გარდაცვალებულის წლოვანების-და მიუხედავად	234.000.000
1-ლ კატეგ. უმუშევართათვის	167.000.000
2-ე კატეგ. უმუშევართათვის	117.000.000
1-ლ კატ. ინვალიდებისათვის	234.000.000
2-ე კატ. ინვალიდებისათვის	167,000.000
3-ე კატ. ინვალიდებისათვის	117.000.000
ოჯახებისათვის, რომელმაც დაკარგა მარჩენალი და შესდგება: ერთი შრომის უნარმოკლებულ წევრისაგან	84.000.000
ორი შრომ. უნარმოკ. წევრ.	117.000.000
სამი შრომ. უნარმოკ. წევრ.	167.000.000

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისრის მოადგილე და რესპუბლიკის სოც. დაზ. სამმარ. უფროსი მიქაძე.

საორგანიზაციო საინ. განყ. გამგე: კილაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კ. პ. ტფ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** აუწყებს პროფკავშირთა ყველა წევრებს, რომ ლექციების ციკლი **გერმანიის მდგომარეობის შესახებ** დაიწყება მე-4 რაიონში სამშაბათს, საღამოს 6 საათზე: 1) პროფკავშირთა საბჭოს კლუბში გერმანიის ამბების პროგნოზის შესახებ წაიკითხავს ამხ. ნოვიკოვი, 2) მბეჭდავთა კლუბში—ამხ. პენიაკოვი წაიკითხავს ლექციას „პოლიტიკური პარტიები გერმანიაში“.

სხვა ლექციების შესახებ თავის დროზე გამოცხადდება.

ტფ. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ვ. ესსენი.

— **დღეს,** 5 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია მბეჭდავთ ყველა **უჯრედების გაერთიანებული სხდომა.**

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა პარტიული დისციპლინის წესით.

სხდომა მოხდება მბეჭდავთა კლუბში (რუსთაველის პროსპ. № 39).

ხმა შახნაზაროვი.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, სალ. 7 საათ. დანიშნულია № 1 მარქსისტული წრის მეცადინეობა სომხურ ენაზე. მუშათა სასახლე ოთახი № 36 ამხ. ავაჯიანის მოხსენება: „დიალექტიკა და მისი შემადგენელი ნაწილები“. წრის ხელმძღვანელი პოლოსიანი.

— პარასკევს 7 დეკემბერს სალ. 7 საათზე გაიმართება რუსულ ენის მასწავლებელთა წრის სხდომა.

მ. რ. ვახვახიშვილი გააკეთებს ინფორმაციას ლექციური გაკვეთილების ზოგიერთ წესის შემოღების შესახებ.

სახლის გამგე შიუკაშვილი

კავშირის საქმეთა მმართველი ბარამიძე.

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში (ალექსანდრეს ბაღი, პუშკინის ბიბლიოთეკა, მე-3 სართული), დილის 11 საათზე, შესდგება ბიბლიოთეკის მუშაკთა საზოგადო კრება.

განცხადებები

სახელმწიფო

ოპერა

დღეს, 5 დეკემბერს,

1. მოცარტი და სალიერი
2. ჯამბაზები.

ხვალ, 6 დეკ. **კარმენი**

პარასკევს, 7 დეკ. **თავადი იგორი.**

ნის. 758—4—2

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. გაერთიანებულ რკინისგზათა გამგეობა აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან (ტფილისი, სადგურის ქ. № 1) ა. წ. 1 **დეკემბრისათვის** დანიშნული

კონკურენცია

საიჯარო წესით ბარგის და ტვირთის დატვირთვისა, გადმოტვირთვისა და გადატვირთვის მუშაობის გასაცემად ტვირთების დაცვასთან ერთად და, აგრეთვე, მგზავრებისათვის სამსახურის გაწევა ბარგის მზიდველების მიერ **საქართველოს ხაზისა და აზერბაიჯანის ხაზის** სადგურებზე

გადადებულია

და ასეთები **დანიშნულია** ა. წ. 12 (თორმეტ) **დეკემბრისათვის,** დღის 12 საათზე. კრ. 761 2—1

„ვამტკიცებ“ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე (ვ. ავაქოვი) 17 ნოემბერს 1923 წ.

განცხადება

ბარიტის დამუშავება-გაყიდვის შესახებ.

თანახმად ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებისა ა. წ. 29 ოქტომბრიდან № 1 | 9, სამთო განყოფილება ამით აცხადებს შემდეგს:

1) ამიერიდან არავის არა აქვს უფლება ბარიტის დამუშავების ან რეალიზაციისა ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების ნებადაურთველათ.

2) ყველა ნებართვები და მოწმობები, ბარიტის დამუშავება რეალიზაციაზე და აგრეთვე ყოველგვარი შეთანხმებები, ყიდვა გაყიდვის შესახებ დადებული, დაწესებულებებსა, საზოგადოებებსა და კერძო პირთა შორის, გაცემული ა. წ. 19 ოქტომბრამდე ითვლება გაუქმებულათ.

3) არსებული მარაგი დამზადებული მადანი ბარიტისა, წიაღის სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადებული დეკრეტი № 17 თანახმად, უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს მტკიცე ოვითღირებულების ფასებში, რომელსაც აწესებს სამთო განყოფილება და, დროებით, სანამ არსებული მარაგი არ გაიყიდება, შესანახათ ეტოვება ყოფილ კერძო-მესაკუთრეებს.

4) ყველა ბარიტის მესაკუთრენი ვალდებულნი არიან 15 დეკემბრამდე ა. წ. განუცხადონ სამთო განყოფილებას ტფილისში ან და სამთო განყოფილების რწმუნებულს ქუთაისში, თუ სად და რამდენი ბარიტი აქვს მომარაგებული.

5) თუ ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილება აღმოაჩენს განუცხადებულ ბარიტის მარაგს, იმ შემთხვევაში ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილება ახდენს ამ მარაგის კონფისკაციას, ხოლო მეპატრონე მიეცემა პასუხისგებაში.

6) ბარიტის შემდეგი დამუშავება ნება დაერთვება ორგანიზაციებს და კერძო პირებს განსაკუთრებულ პირობებში, რომელსაც შეიმუშავებს ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილება. ბარიტის რეალიზაციას მოახდენ მხოლოდ ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილება იმ ზომით, რა ზომითაც მოითხოვს ბაზარი.

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების გამგის მოადგილე ი. ელბაქიძე.

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების რწმუნებული

228 3—1 ინჟინერი ნ. გაჩნაძე.

საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად,

ქალ. ტფილისის დამზღვევი კასა

წინადადებას აძლევს ყველა დაზღვეულ მუშებს და მოსამსახურეებს გადაიღონ სურათი და დაზღვევის წიგნაკებთან ერთად წარადგინონ ერთი ფოტოგრაფიული სურათი დასამოწმებლათ. იმ მუშებმა და მოსამსახურეებმა, რომელთა ხარჯზე იმყოფებიან ოჯახის წევრები, **უნდა გადაიღონ სურათი იმ პირებთან, რომელნიც იმყოფებიან მათ ხარჯზე.**

დაწესებულია ორგვარი სურათები

ერთიდან სამ პირამდე ფოტოგრაფიულ ღია ბარათის ერთი მეოთხედი ფორმატზე, სამზე ზევით ღია ბარათის ნახევარ ფორმატზე.

სურათების გადასაღებათ დამზღვევ კასას თავის განკარგულებაში ყავს 30 ფოტოგრაფი—სწრაფად გადამღები, რომელნიც იმუშავებენ შემდეგ 6 პუნქტებში:

1 პუნქტი—ალექსანდრეს ბაღი.
2 „ პუშკინის ბაღი.
3 „ სადგურთან, ყოფილ სამხედრო სამმართველოს ეზოში.
4 „ კახეთის მოედანზე, ამხ. ამხ. შაუმიანის და ჯაფარიძის სახელობის კლუბის ეზოში.
5 „ ორთაჭალაში, ვორონცოვის ქ. № 98, ამხ. ლენინის სახელობის ტყავის ფაბრიკის ეზოში.
6 „ ვერის დაღმართზე, მელიქ-აზარიანცის სახლის ეზოში.

აღნიშნულ პუნქტებიდან პირველი სამი—მუდმივია, უკანასკნელი სამი კი—დროებითი.

დამზღვევი კასის მიერ ფოტოგრაფებთან დადებულ პირობის ძალით, სურათის გადამღებნი თვითეულ სურათში ღია ბარათის 1 თი მეოთხედი ფორმატზე იხდიან 15 კაპ. ჩერვონეცით სურათის გადაღების დღის კურსის მიხედვით, ღია ბარათის ნახევარ ფორმატზე გადაღებულ სურათში კი იხდიან 25 კაპ.

სურათი წიგნაკთან ერთად მუშებმა და მოსამსახურეებმა უნდა წარუდგინონ თავიანთ ადგილკომებს დასამოწმებლათ. ადგილკომები-კი დამოწმების შემდეგ მათ უგზავნიან დამზღვევ კასას დასამოწმებლათ.

დამზღვევი კასის გამგეობის თავმჯდომარე ქ. ცომაია.

მდივანი ი. ლომაძე. კრ. 759 2—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენის [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობისა

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] მკურნალობას საჭიროებენ.

სამკურნალო ხელმძღვანელობს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible]

ნელიძის. ტფილისი, ვორონცოვის ქ. № 30. (126—25—20)

დავკარგე ნავთის მოთხოვნილების ფურცელი ბარბარე ბუაჩიძის სახელზე № 46739. ჩაითვალოს გაუქმებულად. 230—1—1

დავკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი № 15360 პოლოს სარქისიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 231—1—1

დავკარგე პრავიზიონკის წიგნაკი, მოცემული მთავარ სახელოსნოს კანტორიდან № 4307. ილიკო გაბიშვილის სახელზე გთხოვთ ვინც ნახოთ გადასცეთ მთავარ სახელოსნოს ადგილკომს. ჩაითვალოს გაუქმებულად. 234—1—1

დავკარგე მოწმობა № 328 ქიათურის ჰუმანიტარული სასწავლებლიდან გიორგი ლავრენტის ძე ქავთარაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 235—1—1

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი ანნა ეკსიდიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 229—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, მიღებული აფხაზეთის სამურზაყანოს მაზრის კომიტეტისაგან ისიდორე პეტრეს ძე ჯოლოგუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 227—1—1

დავკარგე პასპორტი № 146 ოჰანეს პოზოიანცის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 232—1—1

დავკარგე „ზაქსიდან“ მიღებული მეტრიკა № 3940. ივან ასლამაზოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 236—1—1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა 1922 წ. № 2159 ნიკოლოზ გოგოლაურის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 237—1—1

დავკარგე რაჭის მაზრის პროფკავშირიდან მიღებული წიგნაკი № 101. წიგნაკი ეკუთვნის რაჭის მაზრის პროკურორის და საგამომძიებლო უბნის მდივანს ვალერიან გრიგოლის ძე ჯაფარიძეს. ჩაითვალოს გაუქმებულად. 233—1—1

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების

რკინისგზათა სამმართველო

აცხადებს, რომ ა—წ. 20 დეკემბერს დილის 10 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოში (სადგურის ქუჩა № 1) დანიშნულია წერილობითი

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც 1 იანვრიდან 1924 წლის 1 ოქტომბრამდე იჯარით გაიცემა:

ვაგონი—ბუფეტები, რომლებიც თან ახლავს მატარებლებს № 7 | 8 ბათომსა და ბაქოს შორის სამი შემადგენლობით, მატ. № 3 | 4 ბათომიდან ტფილისამდე ორი შემადგენლობით და მატ. № 3 | 4 ტფილისიდან ერევნამდე სამი შემადგენლობით.

ბუფეტები I და II კლასის, შემდეგ სადგურებზე: ბათომი, სამტრედია, ახალ-სენაკი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, მცხეთა, ტფილისი, ნავთლუღი, კარაკლისი, ალექსანდროპოლი, ერევანი, ნახიჩევანი, აქსტაფა, შამხორი, განჯა, ევლახი, უჯარი, კიურდამირი, აჯი-კაბული, ბალაჯარი, ბაქო, ბაქო-საბუნჩი, საბუნჩი, ხაჩმასი.

ბუფეტები მე-III ე კლასის შემდეგ სადგურებზე: ბათომი, ჩაქვი, ქობულეთი, ნატანები, ლანჩხუთი, სამტრედია, აბაშა, ზესტაფონი, ბოსლევი, ჭიათურა, საჩხერე, ძირულა, მოლითი, ხაშური, ბორჯომი-პარკი, ბაკურიანი, მცხეთა, ტფილისი, ნავთლუღი, ვაზიანი, იორა, საგარეჯო, ბადიაური, მელაანი, გურჯაანი, კარდანახი, წნორის წყალი, თელავი, სალოღლი, სანდარი, სადახლო, შაგალი, კარაკლისი, ამამლი, ალექსანდროპოლი, ალაგეზი, ეჩმიაძინი, ულუხანლუ, ერევანი, კომარლიუ, შახტახტი, ნახიჩევანი, აგ-ტაგლია, აქსტაფა, ტაუზი, ძეგამი, დოლიარი, შამხორი, განჯა, დალ-მამეტლი, ევლახი, ლიაკი, უჯარი, მიუსიუსლი, კიურდამირი, საგირი, კარასუ, აჯიკაბული, ნავაგი, ბალაჯარა, ბაქო 1, ბაქო-საბუნჩი, საბუნჩი, სუმგაიტი, იაშმა, კიზილ-ბურუნი, დიკიჩი, ხაჩმასი, კუსარ-ჩაი, ხუდატი, იალამა.

საჯარო დარბაზები შემდეგ სადგურებზე: ბათომი—ნავთსადგური, ჩაქვი, ციხის-ძირი, ჯუმათი, ლანჩხუთი, სუჯევახო, სამტრედია № 1, 2 და 3, ახალ-სენაკი, ფოთი, მუხიანი, რიონი № 1 და 2, ქუთაისი, ზესტაფონი, ჭიათურა, ძირული, ხარაგოული, მარელისი, მოლითი, წიფა ხაშური, სურამი, სუქბათოვო, ბორჯომი, ქარელი, გორი, კასპი, ქსანი, ტფილისი, აღებული სხიერელის მიერ, ნავთლუღი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორის-წყალი, სანდარი, სადახლო, ახტალა, სანაინი, კალაგერანი—№ 1, აღებული ტანდოლიანცის მიერ. შაგალი, კარაკლისი, ამამლი, ალექსანდროპოლი—№ 1, სარდარ-აბადი, ეჩმიაძინი, ერევანი, შახტახტი, ნახიჩევანი, აგ-ტაგლია, ყარაიაზი, აქსტაფა, ტაუზი, ძეგამი, შამხორი, განჯა—№ 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7 (№ 7 ვარდიევის) დალ-მამეტლი, ევლახი—№ 1 და 2, ლიაკი, უჯარი, კიურდამირი, აჯი-კაბული № 1 და 2, სანგაჩალი, ბალაჯარი № 1 და 2, ეიბათი, ბაქო 1, ბაქო II, ბაქო-საბუნჩის, საბუნჩი. ხაჩმასი—№ 1 და 2, კუსარჩაი, ხუდატი, იოლამა.

ბუფეტი ფარდულები—შემდეგ სადგურებზე: ხრესილი, ტყვიბული, ავჭალა და შულავერი.

დუქანი „ხაჩაი“: ბაქო 1.

ბარდული „ლარიკი“: განჯა № 1 და 2 და კიურდამირი.

საპირფარეშოები—შემდეგ სადგურებზე: ბათომი, სამტრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ფოთი, რიონი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, საჩხერე, ხაშური, ბორჯომი, გორი, ტფილისი, ნავთლუღი, გურჯაანი, სანაინი, კარაკლისი, ნახიჩევანი, აქსტაფა, ტაუზი, განჯა, ევლახი, აჯი-ყაბული, ბაქო 1, ბაქო-საბუნჩის, საბუნჩი.

შემნახველი კამერები—შემდეგ სადგურებზე: ტფილისი, ბაქო, განჯა.

შკაფები—შინამრეწველობის ნაწარმოებთათვის—სად. განჯა.

ის პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში, ვალდებული არიან თავიანთი განცხადებები დახურულ კონვერტებში ჩააგდონ საბჭოს დარბაზის კარებთან სპეციალურათ ამისათვის გაკეთებულ ყუთში ან გადმოგზავნონ ასეთები ფოსტით. კონვერტებზე უნდა იყოს შემდეგი წარწერა: „ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს 1923 წ. 20 დეკ. საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტების, ფარდულების და სხვ. იჯარით გაცემისათვის; განცხადებებში აღნიშნული უნდა იყოს: სახელდობრ რის იჯარით აღება აქვს მსურველს განზრახული და ფასს იძლევა წლიურათ ჩერვონეცის ანგარიშით.

განცხადებებს თან უნდა ახლდეს:

1) ქვითარი გირაოს შეტანის შესახებ წამოყენებული ფასის არა ნაკლებ 10 პროცენტისა იმ პირებმა, რომელთაც სურთ რამოდენიმე წარმოების აღება იჯარით, განცხადებები უნდა წარმოადგინონ ცალ-ცალკე თვითეული წარმოებისათვის შემოღებული წესით და უნდა შეიტანონ თვითეულ წარმოების საიჯარო ფასის 10 პროცენტი.

2) განცხადებებისათვის გადახდილი უნდა იქნეს სარგებლო გადასახადი.

იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებიც შეეფერებიან რკინისგზის სამეურნეო ინტერესებს.

სათანადო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 12 საათიდან დღის 2 საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა (ტფილისი, სადგურის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

შენიშვნა: ხელშეკრულების ხელის მოწერამდე, გირაოს და ხელშეკრულების შედგენასთან დაკავშირებულ სხვა გადასახადების შეტანამდე ის პირი, რომელსაც დარჩება იჯარით წარმოება, არ იქნება დაშვებული სავაჭროთ. კრ. 756 3—2

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა საშ. წულუკიძის ქ. № 4.